პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

კვირა, 12 იანვარი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 2 (161) ფასი 30 კაპ.

## სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი

საქართველოს მწერალთა კავშირს ორი სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი და ერთი გაზეთი აქვს („მნათობი", „ჩვენი თაობა" და „ლიტერატურული საქართველო"). საბჭოთა პრესის ეს პერიოდული ორგანოები მთელი წლების განმავლობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი პერიოდული ორგანოების პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება, საბჭოთა მკითხველი მუდამ ინტერესით მოელის მათი ახალი ნომრების გამოსვლას, მუდამ ინტერესით უსმენს მათ აზრს, ფხიზელი ყურადღებით ეპყრობა ყველა ახალ ლიტერატურულ მოვლენას, რომელიც უმთავრესად ჩვენი პერიოდული ორგანოების ფურცლებზე იჩენს ხოლმე თავს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ ახალი ამოცანები დააყენა ჩვენი სამხატვრო-სალიტერატურო ორგანოების სარედაქციო კოლეგიების წინაშე. ცნობილია, რომ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი ბოლშევიკური პრესის ორგანიული და განუყრელი ნაწილია. მაშასადამე, ჩვენი სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები ისეთი ოპერატიული, ისეთი კონკრეტული უნდა იყვნენ, როგორც ამას ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ტრადიცია მოითხოვს. სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი უნდა იყოს არა მარტო პასიური გამომხატველი ჩვენი ლიტერატურული სინამდვილისა, არამედ ის უნდა იყოს იმავე დროს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების წარმმართველი და ორგანიზატორი, ის უნდა იყოს დამრაზმავი ძალა, რომელიც ყოველ ნომერში დაუღალავად უნდა იბრძოდეს, რათა ჩვენი მწერალთა კადრები უფრო მჭიდროდ დაუახლოვოს თანამედროვეობის თემატიკას, ის უნდა იყოს სტიმულის მიმცემი, შთამაგონებელი მწერლისათვის, ის უნდა იყოს ინიციატორი, რომელიც წააქეზებს მწერალს და ხელს შეუწყობს მას ახალი, საუკეთესო ლექსის, პოემის, მოთხრობის, რომანის დაწერაში. ერთის სიტყვით, ის უნდა იყოს უაღრესად აქტიური ძალა, რომელმაც, ერთის მხრივ, უნდა შეჰქმნას თავის ირგვლივ ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერა, ხოლო მეორეს მხრივ — დაუღალავად აწარმოოს ფხიზელი საზოგადოებრივი კონტროლი იმ მიზნით, რათა ჩვენი ლიტერატურიდან აღკვეთოს ყოველგვარი არასრულფასოვანი ნაწარმოები, იდეურად და მხატვრულად უსუსური ქმნილება, რომელიც მკითხველში ვერავითარ ინტერესს ვერ აღძრავს, ვერავითარ გატაცებას ვერ გამოიწვევს.

ამ რთული ამოცანის ღირსეულად გადაჭრას ჩვენი სამხატვრო-სალიტერატურო ორგანოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, როცა თავიანთ ფურცლებზე გააძლიერებენ უაღრესად სამართლიან, პრინციპულ, ბოლშევიკურ კრიტიკას და თვითკრიტიკას. ეს ჩვენი სალიტერატურო პრესის ერთი მთავარი და უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია. ეს უნდა გაითვალისწინონ პირველ რიგში ჩვენი ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიებმა, რომელნიც ამჟამად ძალიან სუსტად მუშაობენ. ხშირად სარედაქციო კოლეგია არ არის ამა თუ იმ ჟურნალის მუშაობის კურსში, რაც აუცილებლად აბრკოლებს საქმის ნორმალურ ვითარებას. ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენი სალიტერატურო პრესის ფურცლებზე ქვეყნდება სავსებით მოუმწიფებელი, მხატვრულად მდარე, ხანდისხან იდეურადაც შემცდარი ნაწარმოები. როცა სარედაქციო კოლეგია კარგად იმუშავებს, ასეთი ნაწარმოების ავტორს არავითარი შანსი აღარ ექნება გამოაქვეყნოს თავისი მდარე შემოქმედებითი პროდუქცია.

ქართული სალიტერატურო პრესის მნიშვნელოვანი ნაკლი ისიც არის, რომ არც ერთ ჩვენს ორგანოში სათანადო სიმაღლეზე არა სდგას პუბლიცისტიკის განყოფილება. ეს ჰქმნის ჩვენი დროის მდიდარი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტის საფრთხეს. ჩვენი სალიტერატურო ორგანოების ფურცლებზე იშვიათად შეხვდებით პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც უნდა აშუქებდნენ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კარდინალურ, საკვანძო საკითხებს. ამ მხრივ მოსკოვის სალიტერატურო ჟურნალებმა გაცილებით უკეთესად მოაწყეს თავიანთი მუშაობა. „ნოვი მირ"-ის, „კრასნაია ნოვ"-ის, „მოლოდაია გვარდია"-ს „ზნამია"-ს და სხვა ჟურნალების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით წერილებს ახალი იმპერიალისტური ომის, კაპიტალისტური გარემოცვის და სხვა საკითხების შესახებ. იქვე საფუძვლიანად შუქდება სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა სახელმწიფოს შრომითი რეზერვების საკითხები და სხვ. ყველა ეს საკითხი უშუალოდ, განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა მწერლობის თემატიკასთან, ყველა ეს საკითხი საბჭოთა მწერალს, როგორც მოწინავე საბჭოთა პატრიოტს, პირველ რიგში აინტერესებს, ამიტომ ჩვენ მათ გვერდს ვერ ავუხვევთ. ამ მხრივ ჩვენ აუცილებლად უნდა გადმოვიღოთ მოსკოვის ჟურნალების გამოცდილება, გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა.

ჩვენმა სალიტერატურო ორგანოებმა უდიდესი მუშაობა უნდა ჩაატარონ იმისათვის, რომ უფრო მეტად დაუახლოვონ ერთმანეთს საბჭოთა მწერალი და საბჭოთა მკითხველი. ხშირად არ ვიცით, როგორ ხვდება მკითხველი ამა თუ იმ წიგნს, ამა თუ იმ ნაწარმოებს. ეს კი აუცილებლად საჭიროა. ჩვენი ჟურნალების და გაზეთის ფურცლებზე უნდა ქვეყნდებოდეს მკითხველის გამოხმაურება. ეს აუცილებლად უნდა შემოვიღოთ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში.

ჩვენი სამხატვრო-სალიტერატურო ორგანოების წინაშე უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანები დგანან. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში სცხოვრობს, ამიტომ საჭიროა ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში, ყოველმხრივ განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი, ვიბრძოლოთ მახვილი მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებსაც ჩვენს წინაშე ბოლშევიკური პარტია თყენებს. ამისათვის პარტიამ მოგვცა უძლიერესი იარაღი — ბეჭდვითი სიტყვა. საჭიროა მთელი ჩვენი ძალღონე დავძაბოთ იმისათვის, რომ ჩვენი სალიტერატურო ჟურნალების და გაზეთის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ, მივაღწიოთ იმას, რომ ამ ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე მართლაც იგრძნობოდეს ჩვენი ქვეყნის მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრების ძლიერი რიტმი და მაჯისცემა. ჩვენ შეგვწევს ამისი ძალა, ჩვენ გვყავს საბჭოთა მწერლების საუცხოვო კადრი. საჭიროა მხოლოდ საქმის სწორი ორგანიზაცია და ბოლშევიკური თაოსნობა.

## სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის სარედაქციო საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოცემის გეგმა.

წელს რუსულ ენაზე გამოიცემა ნაციონალური რესპუბლიკების კლასიკოსების ნაწარმოებთა 23 სახელწოდების წიგნი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა 37 სახელწოდების წიგნი.

წელს გამოვა ივანე ფრანკოს ნაწერების ორტომეული, ადამ მიცკევიჩის რჩეულ ნაწარმოებთა წიგნი, ჯამბულის ლექსთა კრებული, აფხაზური პოეზიის კრებული, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა წიგნები, ალექპერ საბირის სატირული ნაწერები, ავეტიკ ისააკიანის ნაწარმოებთა ერთტომეული, ბელორუსული და ქართული პოეზიის ანთოლოგიები, ლიტვური ზღაპრები, ლაცისის რომანი „მებადურის შვილი", ვანდა ვასილევსკაიას მოთხრობათა კრებული და სხვ.

სულ წელს გამოვა 23 ეროვნების მწერალთა ნაწარმოებები.

## მაღალხარისხოვანი პრინციპული კრიტიკისათვის

### მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ აამოძრავა საქართველოს ლიტერატურული საზოგადოებრიობა. 6 იანვარს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობასა და მის უახლოეს ამოცანებზე გამოვიდა ამხ. **შალვა რადიანი.**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ეხლახან მიღებულ დადგენილებას, — სთქვა მომხსენებელმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის გაჯანსაღებისა და შემდგომი იდეური ზრდისათვის. ამით ბოლო ეღება იმ ერთგვარ შეუფასებლობას, რომელსაც სალიტერატურო კრიტიკისადმი იჩენდნენ მწერალთა ორგანიზაციებში და რომლის ჩაბაბს რამდენადმე იძლეოდა თვით ჩვენი კრიტიკის არასაკმაოდ მაღალი დონე. მწერალთა საზოგადოებრიობაში ერთხანს დავიწყებულ იქნა ის როლი, რომელსაც სალიტერატურო კრიტიკა ასრულებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, იბრძოდა რა იგი ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და მხატვრული ხარისხისათვის. ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლუბოვმა რუსეთში, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკ. ნიკოლაძემ და სხვებმა საქართველოში თავიანთი მოღვაწეობით სალიტერატურო კრიტიკის დარგში ნაკლები როლი როდი ითამაშეს ხალხის იდეური აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეში. ამ დიდ საქმეს ისინი ნაყოფიერად აკეთებდნენ სწორედ იმიტომ, რომ თავიანთი კრიტიკული შემოქმედებით ისინი ემსახურებოდნენ ხალხის საჭიროებას, უკავშირებდნენ ლიტერატურის ამოცანებს ცხოვრების მნიშვნელოვან პროცესებს, მის არსებით მოვლენებს. ლიტერატურის ამოცანები მათ თავიანთ სასიცოცხლო ინტერესად მიაჩნდათ. კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის კულტურა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ბოლშევიკურმა პრესამ. დიდმა ბელადებმა **ლენინმა და სტალინმა** კრიტიკული წერილების ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცეს. წარმოუდგენელია ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის შემდგომი წინსვლა, თუ უფრო ღრმად და საფუძვლიანად არ შევითვისეთ კრიტიკის ის მეთოდი, რომელსაც მიმართავდნენ მარქსიზმის კლასიკოსები და რომელმაც ესოდენი ნაყოფი გამოიღო.

გადადის რა დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს მის მთავარ ნაკლს—არა საკმაო თეორიულ მომზადებას, უყურადღებობას მთელ რიგ ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესებისადმი, ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხებით მეტის-მეტად გატაცებას, გაუბედაობას და არაგულწრფელობას ლიტერატურული ფაქტების შეფასებაში. ჩვენი სალიტერატურო პრესა, ჩვენი ბეჭდვითი ორგანოები ვერ იჩენენ კრიტიკული ნარკვევების, ბიბლიოგრაფიული წერილების ორგანიზატორის უნარს. უდაო ფაქტია ის, რომ ამ უკანასკნელ წლებში „მნათობისა" და „ჩვენი თაობის" ფურცლებზე ძალიან იშვიათად შეხვდებით კრიტიკულ წერილებს და ბიბლიოგრაფიას ახალ მხატვრულ წიგნებზე, თანამედროვე მწერლებზე, მხატვრული შემოქმედების აქტუალურ პრობლემებზე. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსაც" ეს საქმე ისე ვერა აქვს დაყენებული, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ამის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ ჩვენს კრიტიკოსთა შორის ადგილი აქვს ლიტერატურის ისტორიის საკითხებით გატაცებას, არამედ ისიც, რომ ჩვენი კრიტიკოსების კადრი მცირერიცხოვანია, რომ კრიტიკის დარგში სამუშაოდ აღარ მოდიან ახალი ძალები. ამ უკანასკნელი გარემოების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ატმოსფერაშიც, რომელიც კრიტიკის გარშემო იყო შექმნილი. ჩვენმა საზოგადოებრიობამ მთელი სიმახვილით უნდა დასვას კრიტიკოსთა ახალი კადრების მომზადების საკითხი და შექმნას წამახალისებელი პირობები მათი მუშაობისათვის. ჩვენს კრიტიკას განუხილავი არ უნდა დარჩეს არც ერთი წიგნი, მასობრივი მკითხველისათვის დაწერილი და გამოცემული.

ჩვენს კრიტიკოსებს, ჩვენი პრესის მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდას" სიტყვები: „ჩვენმა გაზეთებმა და ჟურნალებმა გაბედულად და ულმობლად უნდა ამხილონ ბოლშევიზმისადმი მტრული წიგნები, ჩვენი კრიტიკის ცეცხლში უნდა გაატარონ ყოველგვარი უმეცრული ნაჯღაბნი, ანტიმხატვრული ნაწარმოებნი, და ამავე დროს ისინი ვალდებული არიან იბრძოლონ წიგნის მაღალი ხარისხისათვის, გზა გაუკვლიონ მასებში ისეთ ნაწარმოებს, რომლებიც ნამდვილ ცოდნას იძლევიან, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი კადრების იდეურ-თეორიულ ზრდას და აღზრდას".

სავსებით დროული და მიზანშეწონილია გაუქმება კრიტიკოსთა სექციისა, რომელიც ხელოვნურად სწყვეტდა კრიტიკოსთა კადრებს ცოცხალი ლიტერატურული ვითარებისაგან.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელმაც გაცხოველებული და საქმიანი ხასიათი მიიღო.

**სანდრო შანშიაშვილი** აღნიშნავს თანამედროვე ქართული კრიტიკის რამდენიმე ნაკლს, მათ შორის, გაუბედაობას, მეტისმეტ მოკრძალებას, ვიწრო ამხანაგური მოსაზრებებით ხელმძღვანელობას და სხვას. ყოველი ამის გამო, — ამბობს იგი, — კრიტიკული წერილების დიდი ნაწილი მოკლებულია გულწრფელობას, დამაჯერებლობას, სიღრმეს. კრიტიკის ასეთი მდგომარეობა შედეგია იმ დამოკიდებულებისა, რომელსაც საერთოდ მწერლობა იჩენს კრიტიკის დარგში მომუშავე ამხანაგებისადმი. ჩვენს მიერ სწორი, სამართლიანი კრიტიკის მოუთმენლობა ძალიან ბოჭავს კრიტიკოსს და გასაქანს არ აძლევს მის შემოქმედებითს მუშაობას.

**ბესო ჟღენტი:** ჩვენს წრეში ფეხმოკიდებულია აზრი, თითქოს კრიტიკა იყოს მწერალთა მომსახურება. ნამდვილად კი მოწინავე კრიტიკა ყოველთვის იყო მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის იარაღი და, როგორც ასეთი, ყოველთვის წარმოადგენდა მხატვრული ლიტერატურის დანარჩენი ჟანრების თანასწორუფლებიან ჟანრს. ასეთი იყო ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის კრიტიკა, ასეთია მარქსისტულ - ბოლშევიკური კრიტიკა.

შემდეგ ორატორი ეხება ჩვენი კრიტიკის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით ქართული საბჭოთა კრიტიკა წინ წავიდა. ინტელექტუალურად იგი უკან არ ჩამორჩება არც ერთ სხვა ჟანრს. იგი უფრო მეტი სიმახვილით იბრძვის იდეურობისათვის, უფრო მეტად არკვევს ამა თუ იმ მწერლის ინდივიდუალურ სახეს, ვიდრე ეს წინად იყო. მიუხედავად ამისა, მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. კრიტიკოსთა დიდი ნაწილი ამჯობინებს ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხებზე მუშაობას. ბევრი გამოცდილი, კვალიფიციური ლიტერატურათმცოდნე საბჭოთა მწერლებზე არაფერსა სწერს. ის კრიტიკოსებიც, რომლებიც თანამედროვე მწერლობაზე მუშაობენ, უმთავრესად სწერენ კარგ ნაწარმოებზე და ხმას არ იღებენ აშკარად უვარგის ლიტერატურულ პროდუქციაზე. ეს ცალმხრივობა უნდა გადავლახოთ, უნდა დავძლიოთ ის მოუთმენლობა კრიტიკისა, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი მწერალთა წრეში.

**იონა ვაკელი:** საბჭოთა მწერლობის იდეურ მიზანდასახულობას იძლევა ბოლშევიკური პარტია. ჩვენი მწერლობა პარტიის იდეებით არის შთაგონებული. კრიტიკის დანიშნულებაა — გამოარკვიოს, რამდენად ანსახიერებს თავისი პრაქტიკით მწერლობა ამ იდეებს, რამდენად სწორად და სინამდვილით გამოხატავს იგი კომუნიზმისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებას. სამწუხაროდ ჩვენი კრიტიკა ამ ფუნქციას ხშირად ვერ ასრულებს. ამის მიზეზი მარტო მისი არა საკმაო თეორიული მომზადება კი არ არის, არამედ ისიც, რომ მას აკლია პირდაპირობა და გამბედაობა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მწერლები, მათ შორის კრიტიკოსებიც, მოკლებული იყვნენ მხატვრულ გემოვნებას, მიუხედავად ამისა ჩვენს დისკუსიებზე ხშირად ვიწონებთ და ვაქებთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც ხალხი არ კითხულობს. ასეთი შეფასება არის არა ჩვენი უცოდინარობის და უგემოვნობის, არამედ ჩვენი გაუბედაობის, ხათრიანობის და არაპირდაპირობის შედეგი. მწერალი მოითმენს მკაცრ კრიტიკას, თუ ეს სიმკაცრე გავრცელდება არა მარტო მასზე, არამედ ყველა მწერალზე.

**ალ. სულავა:** პარტიის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილება მოითხოვს, რომ საბჭოთა კრიტიკა იყოს პუბლიცისტური, დიდი საზოგადოებრივი საკითხების წამომყენებელი და გამშუქებელი. ეს გამოწვეულია სწორედ იმ გარემოებით, რომ უკანასკნელ წლებში კრიტიკამ ასეთი ხასიათი რამდენიმედ დაჰკარგა. ამას კი მოჰყვა ის, რომ ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებებში თავი იჩინეს ჩვენი ხალხისთვის უცხო იდეებმა და განწყობილებებმა. კერძოდ, პოეტების ერთ ნაწილს კვლავ დაეტყო ერთგვარი ფორმალისტური გადახრა, გატაცება უიდეო ლექსებით. ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა—პროპაგანდა გაუწიოს მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომელნიც მაღალ მხატვრულ სახეებით გვიჩვენებენ **ლენინ-სტალინის** ეპოქის იდეებს.

**სიმონ ჩიქოვანი:** ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ბევრი კრიტიკული წერილისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ერთგვარი გულგრილობა, ერთგვარი მოდუნება აზრისა და გრძნობისა. მათ აკლიათ სიმძაფრე, სიმახვილე. ჩემის აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ მათ ავტორებს არ ამოძრავებთ უღრმესი სიყვარული ლიტერატურისადმი. ეს გრძნობა, დაკავშირებული მაღალ ინტელექტუალურ მომზადებასთან, ღრმა იდეურობასთან, კრიტიკულ ნაწარმოებს სიმძაფრესა და სიმახვილეს აძლევს.

**კ. ჭიჭინაძე:** უდაოა, რომ პარტიის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილება კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ დიდ ბიძგს მისცემს ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის განვითარებას. კარგ მხატვრულ მწერლობას ყოველთვის თან ახლდა მაღალხარისხოვანი კრიტიკა. კრიტიკის მაღალი დონე საერთოდ მთელი მწერლობის მაღალ დონეს მოწმობს. ამიტომ ბრძოლა კრიტიკის მაღალი ხარისხისათვის, არის ბრძოლა მთელი მწერლობის შემდგომი წინსვლისათვის. ერთ დროს ჩვენს კრიტიკას სწორად არ ესმოდა თავისი დანიშნულება და იბრძოდა ერთფეროვნების დამყარებისათვის ჩვენს ლიტერატურაში, საბედნიეროდ, მან ვერ შესძლო ეს, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონ გახდა ერთფეროვანი. ჩვენში იწერება მეტად გულგრილი და უხალისო წერილები. სიმახვილე-სიმძაფრეს იშვიათად შეხვდებით. ზოგჯერ ჩვენს კრიტიკოსს სამართლიანობის გრძნობაც ღალატობს; უფრო ხშირად იგი ცუდ გემოვნებას ამჟღავნებს.

**ი. გრიშაშვილი:** უნდა ვაღიაროთ, რომ კრიტიკოსის მუშაობისათვის ჩვენში ვერ არის წამახალისებელი პირობები. ხშირად პოეტი ერთი პატარა ლექსისთვის უფრო დიდად ფასდება, ვიდრე კრიტიკოსი საფუძვლიანი გამოკვლევისთვის. ჩვენ უფრო ვართ განებივრებული მკითხველი საზოგადოების ყურადღებით და დაფასებით. კრიტიკოსს კი უფრო ხშირად თავს ატყდება საყვედური და გულისწყრომა. უფრო მეტის სიყვარულით და ნდობით უნდა მოვეპყრათ კრიტიკის ჟანრში მომუშავე ამხანაგებს. მეორეს მხრივ, კრიტიკოსებს უნდა მოვთხოვოთ გულწრფელი, ამხანაგური მიდგომა ჩვენი ნაწარმოებისადმი. დეე, კრიტიკა იყოს მკაცრი და დაუნდობელი. ამას მოვითმენთ, თუ ტონი ამხანაგური იქნება, კეთილი განზრახვებით გამოწვეული. კრიტიკის დარგში მომუშავე ამხანაგებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი წერილების ფორმას. მათ უნდა გამოიმუშაონ თავიანთი ლექსიკონი. სიახლე, სიმძაფრე უნდა ახასიათებდეს მათ გამოთქმებს. მხოლოდ ასე დაწერილი ნარკვევი მოახდენს გავლენას მწერალზე. კრიტიკული წერილები უნდა შეიცავდნენ არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის ანალიზსაც, რადგან არ შეიძლება ფორმისა და იდეის განცალკევება.

**ვასო გორგაძე:** მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ამოცანაა — აამაღლოს საბჭოთა კრიტიკის ავტორიტეტი. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი კრიტიკა აღიჭურვოს უფრო საფუძვლიანი ცოდნით მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში და გააფართოოს ასპარეზი თავისი მუშაობისათვის, გამოიჩინოს უფრო მეტი თაოსნობა ახალი ლიტერატურული მოვლენების აღმოჩენასა და შეფასებაში. დღემდე ჩვენი კრიტიკა არ სცილდება ერთხელვე შემორკალულ წრეს ცნობილი მწერლებისას და დიდძალი პროდუქცია ნაკლებად ცნობილი მწერლებისა განუხილავი და შეუფასებელი რჩება.

**დემნა შენგელაია:** ერთ დროს ჩვენი კრიტიკა გატაცებული იყო იმით, რომ ყოველ ნაწარმოებში უსათუოდ დასაწუნი და საგინებელი რამ აღმოეჩინა. ახლა, პირიქით—კრიტიკა იმის ცდაშია, აქოს და ადიდოს ნაწარმოები, ღირს თუ არა ღირს იგი ამად. ჩვენთვის არ არის საჭირო არც სახოტბო და და არც მაძაგებელი კრიტიკა. ჩვენ გვინდა კრიტიკა, რომელიც გამოარკვევს ნაწარმოების ობიექტურ ღირებულებასა და მნიშვნელობას. მწერლები არ უნდა ჩაიკეტონ თავიანთ სექციებში, ამას ვნება მოაქვს, რადგან ისპობა ჟანრების ნაყოფიერი ურთიერთი ზეგავლენა. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ კრიტიკის ჟანრში მუშაობა სხვა ჟანრის მწერლებმაც დაიწყონ.

**ვ. წულუკიძე:** კრიტიკის გაბედულ, პირდაპირ, პრინციპულ შემოქმედებას წინ ეღობება ყოფაცხოვრებითი დაახლოვება და მეგობრული განწყობილება, რასაც ყოველთვის როდი აქვს იდეური საფუძველი. ხშირად კრიტიკოსს ბორკავს ისიც, რომ იგი მხედველობაში ღებულობს გასაკრიტიკებელი ნაწარმოების ავტორის მატერიალურ ინტერესებს. ეს შემაფერხებელი მიზეზები, რომელნიც სუბიექტური ხასიათისაა, აუცილებლად დაძლეულ უნდა იქნან. ორატორს მოჰყავს მაგალითი ლიტერატორთა იმ წრისა რომელსაც 1910-იან წლებში ხელმძღვანელობდა მაქსიმ გორკი. ამ წრეში თავმოყრილი იყვნენ ერთმანეთთან ძალზე დაახლოვებული და დამეგობრებული მწერლები, მაგრამ მეგობრობა არა თუ ხელს უშლიდა, არამედ, პირიქით, უკარნახებდა მათ დაურიდებლად გაერჩიათ და გაეკრიტიკებინათ ერთმანეთის ნაწარმოებნი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ წრეში მომუშავე მწერლებმა რუსული ლიტერატურა შესანიშნავი ნაწარმოებებით გაამდიდრეს. ჩვენს მეგობრობას საფუძვლად უნდა დაედოს სწორედ ეს უსაზღვრო სიყვარული ლიტერატურისადმი, მაშინ ჩვენ არ მოვერიდებით ერთიმეორის სუსტი მხარეების მხილებას.

**გრ. ცეცხლაძე:** ჩვენი კრიტიკა ვერა ზრდის მკითხველის თვალში იმ ნაწარმოებს, რომელიც ამის ღირსია. ყოველი კრიტიკული წერილი უნდა აძლიერებდეს და ამახვილებდეს იმ ემოციებს, რომლებსაც პოეტი თავის ნაწარმოებში იძლევა. ჩვენი კრიტიკა, სამწუხაროდ, ამ თვისებას მოკლებულია. კრიტიკა ნაკლთან ერთად კარგსაც უნდა ეძებდეს ნაწარმოებში, რადგან ნაწარმოების კარგი თვისების პოპულარიზაცია ზრდის მკითხველის ესთეტურ გემოვნებას.

**ლევან ასათიანი:** პარტიის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილება ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჩვენი კრიტიკა არ არის დამარწმუნებელი, ხშირად იგი დაუსაბუთებელი და დეკლარატულია. პირველ ყოვლისა აი ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის უნდა ვიბრძოლოთ. კრიტიკა უნდა გვაჯერებდეს, გვარწმუნებდეს ნაწარმოების ღირსებასა თუ ნაკლში. ეს რომ შესძლოს კრიტიკოსმა, ცოდნასთან ერთად საჭიროა ღრმა სიყვარული ლიტერატურისა. ყოველ კრიტიკულ შრომაში უნდა სჩანდეს გრძნობა და ემოცია მისი ავტორისა. შემდეგ ყოველი კრიტიკული შრომა თავის თავად უნდა წარმოადგენდეს სრულფასოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც უნდა უძლებდეს მრავალი წლის გამოცდას.

ორატორი აღნიშნავს ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს, სახელდობრ იმას, რომ მას არ ახასიათებს დიდი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პრობლემების და ღრმა განზოგადოებრიობის პრაქტიკა თავის მოღვაწეობაში. დასასრულ, ორატორი მოითხოვს, რომ ჩვენმა ჟურნალებმა კვლავ აღადგინონ ლიტერატურის წლიური მიმოხილვების მოთავსების ტრადიცია.

**სანდრო ეული:** კრიტიკოსთა სექციის გაუქმება სავსებით მიზანშეწონილი ღონისძიებაა, რადგან ამ სექციის არსებობა იწვევდა კრიტიკოსთა მოწყვეტას ლიტერატურული ცხოვრებისაგან. მაგრამ სექციის გაუქმება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ კრიტიკოსთა კადრები ორგანიზაციის გარეშე რჩებიან. კრიტიკოსთა მუშაობას ამიერიდან უფრო მეტი მზრუნველობა უნდა აღმოუჩინონ და ხელი შეუწყონ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, შემოქმედებითმა სექციებმა, გამომცემლობებმა, რომლებმაც თავიანთ გარშემო უნდა შემოიკრიბონ ისინი და გეგმიან კალაპოტში ჩააყენონ მათი მუშაობა.

დასასრულ, ილაპარაკა საქ. მწერალთა კავშირის პ./მ მდივანმა **ირაკლი აბაშიძემ,** რომელმაც დასკვნა გაუკეთა თათბირის მუშაობას და დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. მთავარია, — სთქვა ორატორმა — ის, რომ შევქმნათ საღი ატმოსფერა კრიტიკისათვის, მოვსპოთ მოუთმენლობა და მიუღებლობა კრიტიკისა, დავიცვათ სამართლიანი კრიტიკა განაწყენებული ავტორის შეტევისა და თავდასხმისაგან. ეს აზრი გამოსჭვიოდა ყველა ორატორის სიტყვაში და ჩვენი მოვალეობაა, ეს ერთსულოვანი მოთხოვნა განვახორციელოთ, საქმედ ვაქციოთ.

თათბირმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც მიესალმება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებას და ღებულობს მას სახელმძღვანელოდ მწერალთა კავშირის შემდეგი მუშაობისათვის. დადგენილება ითვალისწინებს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს კრიტიკის იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად და მის გასააქტივებლად.

# ბელადის დედა

## ლადო ასათიანი

[illegible]

— აი, ეს კიდევ,—
და შეჰკივლა, ველარ დამალა
შიში უეცრად
ცივი ნივთის ხელის შევლებით.
აიღო: ბესო
ჯუღაშვილის ვერცხლის ქამარი!

[illegible]
და შემოქმედი
განახლებულ საუკუნეთა?—
ბაქოელ ძმებთან,
ბაილოვის ციხის საკანში
თავისუფლების
მძლავრ სიმღერას აგუგუნებდა.

# ახალი მაღალხარისხოვანი პიესების შექმნისათვის

ახალი სრულყოფილი დრამატიული ნაწარმოებების შექმნის სტიმულირებისა და საბჭოთა თეატრების საჭირო და აქტუალური რეპერტუარით უზრუნველყოფისათვის საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი, — ხაზით როგორც ერთ-ერთ ღონისძიებას, საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო დრამატურგებს აძლევს შეკვეთებს ახალი პიესების დასაწერად.

დრამატურგი თემისა და სიუჟეტის არჩევაში შეზღუდული არ არის. ახალი პიესა უნდა უპასუხებდეს საბჭოთა ხალხის მაღალ მოთხოვნილებებს. იგი უნდა ზრდიდეს სოციალისტურ სამშობლოსადმი თავდადებულს სიყვარულს, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას. იგი უნდა უჩვენებდეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, გმირობას საბჭოთა ხალხისას, რომელიც აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა პიესებს წითელ არმიაზე, რომელიც ერთგულად სდარაჯობს სსრ კავშირის საზღვრებს, რომელმაც სიმამაცის, პატრიოტიზმისა და თავდადების საუკეთესო მაგალითები გვიჩვენა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა მიმართვები დაუგზავნა საბჭოთა კავშირის ხალხების საუკეთესო დრამატურგებს ახალი პიესების დაკვეთის შესახებ.

ასეთი მიმართვა მიიღო საქართველოში ამხ. შალვა დადიანმა.

# თეატრალური თვითმოქმედების დათვალიერება

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლი იანვარში აწყობს თეატრალური თვითმოქმედების დათვალიერებას. დათვალიერების პირველი ტური ჩატარებული იქნება 15 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე, — დათვალიერებულ იქნება კოლმეურნეობებთან არსებული თეატრალური კოლექტივები: მეორე ტური ჩატარდება რაიონულ და ქალაქის ცენტრებში 1-ლი თებერვლიდან 1-ლ მარტამდე.

დათვალიერების ხელმძღვანელად გამოყოფილია რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ადგილობრივ დათვალიერებაში წარჩინებული კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ რაიონულ ან საქალაქო დათვალიერებაში.

დათვალიერების მზადებასთან დაკავშირებით ხალხური შემოქმედების სახლმა ადგილებზე ჩაატარა თეატრალური თვითმოქმედი კოლექტივების აღრიცხვა.

# ა. ჭავჭავაძის ნაწერების ახალი გამოცემა

[illegible]

და, თუ კიდევ მოვიპოვეთ, სხვა ნაწერებიცა.

„სამწუხაროდ ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ვერ ვიშოვეთ და იძულებული შევიქენით დავჯერებოდით დავით რექტორის და სხვათა გადაწერილსა ანუ ნაბეჭდსა. იმედს არა ვჰკარგავთ, რომ სადმე არ აღმოჩნდეს და ვერ მოვიპოვებოდეს ნამდვილი ხელთნაწერი პოეტისა. ამისათვის ვსთხოვთ ჩვენს ლიტერატურის მოყვარეთა, მოპოებისთანავე წარმოგვიგზავნონ მეორე ნაწილში დასაბეჭდად. ამგვარსავე თხოვნას მივმართავთ მოპოებისათვის ბიოგრაფიის მასალისა, რომელისაც ბეჭდვას მეორე ნაწილში ვაპირებთ“.

ამ გამომცემლებმა მხოლოდ პირველი წიგნი გამოაქვეყნეს და იმით დაკმაყოფილდნენ. მას არ მოჰყოლია შემდეგში ა. ჭავჭავაძის ნაწერების მეორე წიგნის გამოცემა. ამგვარად, ა. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ეს პირველი გამოცემა არ იყო სრული. გარდა ამისა, მასში მოთავსებული ზოგიერთი ლექსი არ ეკუთვნოდა ა. ჭავჭავაძეს. დაუდგენელი იყო ტექსტიც.

ა. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლას მრავალი გარემოება აბრკოლებდა. არ იყო ცნობილი მისი ავტოგრაფები. არ ყოფილა აგრეთვე გამოქვეყნებული და დაბეჭდილი პოეტის სიცოცხლეში ეს ლექსები, რომელთაც ნაწილობრივ მაინც შეეძლოთ ავტოგრაფის მაგიერობის გაწევა. ერთად-ერთი ლექსი, რომელიც დაიბეჭდა პოეტის სიცოცხლეში (1830 წ.), იყო „ლექსადთქმული პუშკინის ძილი“. ა. ჭავჭავაძის ლექსები ხალხში სიმღერისა და ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. უფრო მოგვიანებით, 50-იან წლებიდან იწყება მის ნაწარმოებთა შეგროვება და დროგამოშვებითი გამოქვეყნება „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“, კრებულში“, თეატრში“, „ივერიაში“, „ალმანახში“ და

[illegible]
იგი პირველად აქვეყნებს აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ახალ ლექსებს, რიცხვით ორმოცამდე. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ორიგინალური ლექსები: „ნარგიზოვანს“, „სულის ყვავილო“, „როს არშიყი“, „თავისი ქალის ნინოს მაგიერად“, „ღვინის თვისებისათვის“, „რა ვჰყოთ, გულო“, „ღიმილმან კარი ლალისა“, „დღეობაში“, „ავადმყოფობის ჟამს მიწერილი“, „აღრეულების შიშები“, „ნაწყვეტი“, „დიდმარხვაში“, „იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ“, „მაჯამა“, „ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“, „მეგრულ ფერხულზე“, „რაა სიკვდილი“, „კუბიდონის ადრიატზე“, „ასპარეზთა შინა მორკინალეთათვის“, „მწამებ ხსოვნისა“, „დუგა“, „პეტრე ლარაძისადმი“, „გუთნის დედა“, „ანაკრეონული“, „ორი ეპიგრამი“ და „შექცევისათვის“. ამ ლექსებს მრავალი ახალი შტრიხი შეაქვთ ა. ჭავჭავაძის პოეზიის მოტივების გაგებისა და გათვალისწინების საქმეში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პოეტის დიდი ინტერესი სოციალური პრობლემებისადმი, ხალხის ცხოვრებისადმი. ა. ჭავჭავაძის შემოქმედების ეს მხარე, სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი კრიტიკის მიერ ჩრდილში იყო დაყენებული.

ა. ჭავჭავაძის თხზულებათა წინამდებარე გამოცემა შესდგება ორი მთავარი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ორიგინალური ლექსები, ხოლო მეორე განყოფილებაში — თარგმნილი ლექსები და დრამატიული ნაწარმოებები. თარგმანების განყოფილებაში მოთავსებულია პუშკინის რამდენიმე ლექსი („ყვავილი“, „ანჩარი“, „სიზმარი“, „კავკასიის ზვავი“, „ვიდრემდის ჰქონან“, „სპილენძის მხედარი“), შემდეგ—ჰიუგოს („მეფე რომ ვიყო“), ოდოევსკის („ვარდი და ბულბული“), ლაფონტენის („ჭრიჭინასათვის“), „მგლისა და კრავისათვის“, „თხისა და მგლისათვის“), ვოლტერის („ალსარება“, „ტაქტიკა“), ეზოპის („ქურდი და ძაღლის ისტორია“), რასინის („ესთერის მონოლოგი“, „ფედრას მონოლოგი“), კორნელის („სინა“) და აგრეთვე რამდენიმე უცნობი ავტორის ნაწარმოები.

ი. გრიშაშვილს დიდი მუშაობა ჩაუტარებია ტექსტის „დაზუსტებისა“ და „გამართვისათვის“. სრულიად ახალი რედაქციით იბეჭდება „კავკასია“, ავტორის დედნის მიხედვით.

ა. ჭავჭავაძის ლექსის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ ერთი ადგილი, რომელიც წინა გამოცემაში შემდეგნაირად იკითხებოდა:

„დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“,

ახალ გამოცემაში ერთი ხელთნაწერის მიხედვით ასე გასწორდა:

„დავეხსნათ ცოდვილთ ქებასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“.

ა. ჭავჭავაძის ერთი ცნობილი ლექსის კუპლეტი („თავსა უფლად“), ყველგან ოთხი სტრიქონის ნაცვლად, სამ სტრიქონად იკითხებოდა:

„თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ“.
(იხ. 1881 წ. გამოც. გვ. 99).

წინამდებარე გამოცემაში ეს სამი სტრიქონი გაოთხებულია ერთი ხელთნაწერის მიხედვით:

„თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ყოველთ ესრეთ გაიგონეთ,
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ“ (გვ. 91).

წინამდებარე გამოცემაში გასწორებულია ის უამრავი შეცდომა, რომელიც ამახინჯებდა ა. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ტექსტს. ყველა ეს გასწორება დაწვრილებით არის აღნიშნული ცალკეული ლექსების შენიშვნებში.

რედაქტორის შენიშვნები მეტად ვრცელია. ეს შენიშვნები სრულ წარმოდგენას გვაძლევენ ა. ჭავჭავაძის თვითოეული ნაწარმოების ისტორიაზე, განსხვავებულ რედაქციებზე და დაბეჭდვაზე. ამ მხრივ ზოგიერთი შენიშვნა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მოკლე გამოკვლევად ა. ჭავჭავაძის ცალკეული ნაწარმოებების შესახებ (მაგალითად, „მუხამბაზი ლათაიური“, „სიყვარულო ძალსა შენსა“, „ვისაც გსურთ“ და სხვ.).

თხზულებათა კრებულში ა. ჭავჭავაძის ნაწერებიდან მოთავსებულია აგრეთვე „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი და დაწერილია 1836-37 წლებში.

ი. გრიშაშვილის მიერ თხზულებათათვის წამძღვარებული მონოგრაფიული ნარკვევი ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრ ახალ საინტერესო მასალას და დაკვირვებას შეიცავს.

თხზულებათა ამ კრებულით ა. ჭავჭავაძე მთელი სისრულით გამოდის მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის სარბიელზე. ეს კრებული მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას წარმოადგენს, რასაც არ შეიძლება არ მიესალმოს თანამედროვე საბჭოთა მკითხველი.

**ს. ჩარგიანი.**

# ნიზამის მუზეუმი

ბაქოში არსდება ნიზამის სახელობის დიდი მუზეუმი. ამჟამად ამ მუზეუმის მოწყობისათვის [illegible] გაჩაღებულია მუშაობა. 70 მხატვარი, მოქანდაკე, ძველი სახალხო ოსტატი ყოველდღიურად მუშაობენ ამ მუზეუმის გასაფორმებლად.

მუზეუმს დათმობილი აქვს დიდი შენობა იმ მოედანზე, რომელზედაც იდგმება ნიზამის ძეგლი. შენობა რეკონსტრუირებული იქნება აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების სტილის მიხედვით.

ფასადზე დაიდგმება 6 სამმეტრიანი ქანდაკება აზერბაიჯანის ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლებისა: ფიზულის, ვაგიფის, ნატავანის, მირზა ფატალი ახუნდოვის, საბირის და ჯაფარ ჯაბარლისა.

მუზეუმში, გარდა უძველეს ხელთნაწერებისა, ისტორიულ საბუთებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებისა, გამოფენილი იქნება მრავალი სურათი, ქანდაკება და სახალხო ოსტატების ნამუშევარი. დიდი ფრესკის ფონზე, რომელზედაც გამოსახული იქნება გეაკ-გელის ტბის მიდამოები, დაიდგმება საბსაის მარმარილოსაგან გამოკვეთილი ნიზამის ქანდაკება.

აზერბაიჯანის ხალხის ისტორიასა და ნიზამისადმი მიძღვნილია სურათები: „მიდიელთა ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელის ჯართან“, „ნიზამი და შირვანშაჰის დესპანი“, „გოეთე და შილერი საუბრობენ ნიზამის პოეზიაზე“, „მ. ფ. ახუნდოვი კითხულობს პოემას პუშკინის სიკვდილზე“, „ამხანაგი სტალინი „ქოროღლის“ სპექტაკლზე“ და სხვ.

„პოეტების დარბაზი შემკული იქნება დიდი ფრესკით, რომელზედაც გამოხატავენ აზერბაიჯანის ლიტერატურის 28 კლასიკოსს. ნოხების საუკეთესო მქსოველები მუზეუმისათვის ჰქსოვენ ნოხს, რომელზედაც გამოსახული იქნება ნიზამის პორტრეტი და პოეტის პოემებიდან აღებული სურათები.

მხატვარ საგიანის ხელმძღვანელობით კეთდება მხატვრული დიორამა, რომელზედაც გამოსახული იქნება ნიზამი განჯელის სამშობლო ქალაქი განჯა (მეთორმეტე საუკუნეში).

ნიზამის მუზეუმი გაიხსნება პოეტის საიუბილეო დღეებში.

# „საბჭოთა ხელოვნება“ № 10

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ გასული წლის მეათე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე „დრამატურგიის სადღეისო ამოცანები“, „ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა“, დ. ჯანელიძის „თანამედროვეობა დრამატურგიასა და თეატრში“, შ. ბუაჩიძის „კონკურსი საუკეთესო პიესაზე“, ლ. დონაძის „კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი“, ან. ღვინიაშვილის „ჭაჯანა“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში“, სარედაქციო წერილი — „იაკობ გოგებაშვილის 100 წლის იუბილე“, შ. ალხაზიშვილის „იაკობ გოგებაშვილი ქართული ხელოვნების შესახებ“, გრ. ჩხიკვაძის „ქართული მუსიკა“ (წერილი მეორე), გ. ბუხნიკაშვილის „დავით ერისთავი“, ვ. ბაიაძის „პატარა კახი“ გორის თეატრში“.

ბოლოს ნომერში მოთავსებულია „საქართველოს თეატრალური ხელოვნების ისტორიის კალენდარი“ და ხელოვნების ქრონიკა.

# პოეტის გზა

## ლავროსი კალანდაძე

პოეტურ ქმნილებაში, ლირიკაა იგი თუ ეპიური ნაწარმოები, პირველყოვლისა, ამოიკითხება ცხოვრება, სინამდვილე, ყოფიერება. და რამდენადაც ღრმად არის შეგრძნობილი მხატვრულ ფაქტში ყოფიერებას დედა-ძარღვი, იმდენად მაღალხარისხოვანია ის ფაქტი. მხატვრული ფაქტის მაღალხარისხოვნება მდგომარეობს მის შემეცნებითს სიღრმესა და ემოციურ ძალაში. ზერელობა და უაზრობა, უწესრიგოდ მითხუპნულ-მოთხუპნული სალებავები, სიტყვების ოინბაზობა თანამედროვე მოწინავე საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაში ესთეტიკურ დამკვიდრებას ვერ აღწევენ. ახალ ადამიანებს ხიბლავს, იტაცებს და ატკბობს ის, რაც მათ სულსა და გულს ღრმად სწვდება, რაც მათ ძალებს ამაგრებს და აგზნებს, ახალი შემოქმედებითი შემართებებისათვის ამზადებს. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების ღონე ცხოვრების სიღრმის მიწვდომაშია ლექსი ძლიერი განცდების გარეშე, ცხოვრების სიღრმეს მიუწვდომელი, მკითხველის სულისა და გულისაკენ გზას ვერ იკვლევს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ პოეტ ი. მოსაშვილის შემოქმედებას.

უბირი ბუნება პანთეისტური გზნებით შეფერილი, ადრინდელი სოფლის ზედაპირული სანახაობანი, — აი პოეტ ი. მოსაშვილის შემოქმედებითი შთაგონების გუშინდელი დღე. ამ მოტივებს პოეტი ნაწილობრივ დღესაც ეხმაურება.

„ბუნების გულისა და სიკეთის“ მხატვრული შემეცნების მწვერვალს ქართულ ლიტერატურაში მიაღწია ვაჟამ. ვაჟა მისივე მინდიაა იმ განსხვავებით, რომ ვაჟას არასდროს არ დაჰკარგვია ბუნების ენას, ბუნების საიდუმლოებათა გაგების უნარი. ვაჟამ ჯადოსნური ოსტატობით აამუსიკა თავის ნაწერებში ყვავილთა ბიბინი, გრძნეულის ხელით დახატა დიდებული სურათი იმისა, თუ როგორ აინთებიან მთების გულში სანთლები, როცა არწივი კამარას შეჰკრავს მათს თავზე. ვაჟამ ქართულ ლიტერატურაში იმღერა განუმეორებელი ხოტბა და დიდება ბუნების მადლისადმი. და როდესაც ასეთი პოეტური იალბუზია აღმართული, მისი მოტივების მღერა, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს ლამაზი, მოხდენილი, მაგრამ მწვერვალისაგან მაინც ჩრდილმიყენებული განმეორება.

ი. მოსაშვილი ამ მხრივ აღწევს ლამაზსა და ცხოველ თქმებს, ცხოველ განცდებს, ბუნების გულწრფელ გრძნობას:

„გავშალოთ ნაბდები, ქვეყანა დიდია,
დიდება მტრედისფერ განთიადს.
დიდება ზეცაში რამდენიც ჩიტია,
რამდენი ვარსკვლავიც ანთია.
დიდება რამდენიც უყივის არწივი,
ბუნების გულსა და სიკეთეს,
დადგება ბელურა პატარა კაციით
და ტოტზე ბუმბულის სასახლეს იკეთებს“.

ბუნების ვაჟასეული გაგება ერთგვარი ოპტიმიზმის წყაროა, ის ასაზრდოებს და აღძრავს სიცოცხლის დამკვიდრების გზნებას. მართალია, თქვენ გულს გილონებთ შვლის ნუკრის სევდიანი ნაამბობი, ფესვების ჩივილი, ქუჩის გოდება, ოხვრა და ვარამი, მაგრამ გახარებთ და გიტაცებთ ყველგან და ყველაფერში დაღვრილი სიცოცხლის ნექტარი. თქვენ უერთებთ სულისა და გულის მოძრაობას, სისხლის ჩქეფას სიცოცხლის ამ მადლიერ და დაუშრეტელ დინებას. თქვენ არ გაშინებთ სიკვდილი, არ გხუთავთ არყოფნის უსასრულობა. თქვენ გიპყრობთ შემართება—ებრძოლოთ ბოროტებასა და სიბილწეს. ჩვენის აზრით, ვაჟკაცობისა და სიმამაცის მოტივი ვაჟას პოეზიაში, დაკავშირებულია ბუნების ასეთ გაგებასთან.

ბუნების ასეთივე შეგრძნობა არბილებს უიმედობის მოტივს ი. მოსაშვილის ადრინდელ ლექსებში. სევდა და ნაღველი ვერ აქრობს სიცოცხლის დამკვიდრების ერთგვარ ლტოლვას. პოეტი ი. მოსაშვილი მიჰყვება ბუნების გრძნობის ვაჟასეულ გზას. მას თავისი პოეტური არსება გაგებული აქვს, როგორც ორგანიული შეხორცება ბუნებასთან.

ვაჟასეული მოტივი წამყვანია ილო მოსაშვილის ადრინდელ ლექსებში. ის არ წარმოადგენს მხატვრულ იდეათა ახალ სამყაროს. მას არც ახალი მხატვრული შემეცნებითი ძალა აქვს. მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, რომ ამ მოტივს მოსაშვილის პოეზიაში ერთგვარი თვითმყობადობა არა ჰქონდეს. არა, პოეტს ახასიათებს დიდი გულწრფელობა და საკუთარი ხალასი გზნება. ის თავისი უშუალო პოეტური სმენით სწვდება მონადირეთა სიმღერას, მოხუცი მეჩონგურის სიტყვებს, მამალი ხოხბის გადაძახებას, თავისი უშუალო პოეტური თვალით ხედავს ბიჭებსა და მუხებს, ერთად წამოწოლილთ, ღამეს, რომელმაც მგლის თვალებით მიანათა ნახირს, მტირალ ქალს, რომელიც „ყოველ საღამოს დაიდებს ჩოხას, ხანჯალს და რაც კი ვაჟის ლანდს იწვევს“. შემთხვევითი როდია, რომ ვაჟას სახე პოეტის შთაგონების ერთ მთავარ საგანს წარმოადგენს: ეს სახე ბავშვობიდანვე შეზრდია და შესტკბობია მას, პირველ ანბანთა შესწავლის მოგონებაც კი ვაჟას მოგონებას უკავშირდება.

პოეტის ძველი ლექსები არ გვახედებენ ადრინდელი სოფლის ცხოვრების სიღრმეში. მას სალებავები და სანახაობანი იტაცებენ: ქორწილები, თარის დაკვრა, მაყრიონი, აზარფეშას ცურვა ბადაქში, პატარძლის ტკბილი სიზმარი, შემკრთალი ქალი წყაროსთან, მწიფობა ხილისა, ან საღამო ორღობეში, როცა „ლურჯთვალა გოგო მიჰყვება ფურებს“. აქაც პოეტს აქვს გულწრფელი ლირიკული შემსჭვალვა სოფლის სანახაობებთან, მაგრამ ლექსის შემეცნებითი ძალა არც აქ არის ღრმა.

ილო მოსაშვილის ასეთ განწყობილებათა სამყაროში იჭრება ახალი ცხოვრების ძლიერი ნაკადები. პოეტი ცხოვლად განიცდის ამ ნაკადების მაცოცხლებელ მოვარდნას. ეს განცდა მასში ახალი მსოფლშეგრძნების სათავეედ იდება. პოეტი ჰგრძნობს, რომ ყოველივე ჯანსაღი, წმინდა მაღალი და დიადი ახალი სოციალისტური სინამდვილისაკენ მიიმართება და უერთდება მას. ეს სინამდვილე პოეტის წინაშე ახალ თემატიურ არეს შლის. ბუნებისა და სოფლის სანახაობათა მჭვრეტელობითი კომპლექსი ადგილს უთმობს სოციალისტური ყოფის აქტიურად ასახვას და პოეტი სწერს ახალ სტრიქონებს ალაზნის ველად აზვირთებულ ახალ ყოფაზე, სწერს სტრიქონებს სოციალისტური შრომის გამარჯვებასა და საწაულებზე:

„ამხანაგებო, ეს მთა ძლეული,
დევის თვალებით გვიცქირდა შარშან
დღეს კი, ნაღმებით მკერდშენგრეული,
მოკლულ ორბივით ჰკიდია არშას“.

ახალი კოლხიდის განცდა ი. მოსაშვილის ლექსებში ნაზ და ცხოველ ფერებშია გამოვლენილი, პოეტურ სახეებში სიცოცხლის ხალისიანი სურნელება დგას.

პირქუში და მძიმე სახეები იმ თავითვე არ ახასიათებენ ი. მოსაშვილს, მისი პოეტური ფრაზები ლბილი და ხასხასაა.

ბელადი და სოციალისტური სამშობლო ძირითადი, წამყვანი თემებია დღეს ი. მოსაშვილისა, პოეტს კარგად ესმის, რომ დიდი **სტალინისადმი** მიმართული მისი სიტყვა, მისი აღტაცება, მისი ხმა არის საბჭოთა ხალხის ხმა, სიყვარული და აღტაცება, „რომ ჩვენი გული ნატვრა, ოცნება და ჩვენი დროშა მხოლოდ ის არი“. სოციალისტური ცხოვრების დინების ყოველ ახალ ნაკადს, ყოველსავე გმირულსა და დიადს პოეტი სამართლიანად უკავშირებს ბრძენი ბელადის სახელს. ბელადი თავისი გენიის ნათელით მოსავს „ხეს, ადამიანს და სავსე თაველს“, „კაცის პირველად გახელილ თვალებს“ ცაზე ბელადის სახე დახვდება, ყოველი სულდგმული გრძნობს ბელადის „გულისა და ხელის შეხებას“. ბელადის სახელი მიუძღვის ფიცად: ზეცაში—მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს, ვაჟკაცს — ყანაში, ბავშვს—დედის იავნანაში; ბელადზე მღერიან სალამურები, რკინაც, ბალახის ღერიც... და ეს იმიტომ, რომ „ამდენი გული, ამდენი სიბრძნე“ ჩვენთვის გაუდვია გზად და ხიდად, რომ ის „ოქტომბრის ცეცხლის მზიდავია“ და „ქვეყნიერების ღერძად“ ქცეული; ბელადის დიდებას მღერის ზღვისა და ხმელეთის მგზავრი:

„ფეხზე აშლილი ქვეყანა მღერის,
მღერის ტანჯვის და დარდის მორჩენას,
და ყოველ დილას მზესავით ელის
სამშობლოს ცაზე შენს გამოჩენას“.

სიყვარული და მადლობა ბელადისადმი პოეტმა წარმოგვიდგინა, როგორც ხალხის გულიდან ამოხეთქილი ძლიერი სადიდებელი სიმღერა, რომელიც მთელს ბუნებაში დაღვრილა და მისით აჟღერებულა ყოველი. პოეტი უმღერის ბელადის ქოხსაც, რომელიც „მიწისძვრის ხელმაც არ გაიმეტა და დარჩა ქართლში... ქვეყნიერების ხსნად და იმედად“.

თავისი მიმართვით ბელადისადმი: „შენ იცოცხლე, გმირო გამძლევ, ხმას კი არა, მთელ გულს გაძლევ“ პოეტი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის გულის ნადებს.

ი. მოსაშვილი **ლავრენტი ბერიასადმი** მიძღვნილ ლექსში ცოცხლად ხატავს ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, ხალხის ერთგული მოჭირნახულის სახეს. ამ ლექსის ყოველ ტაეპში ჰგრძნობთ მტკიცე სტალინელის დაუღალავ შრომასა და მზრუნველობას ხალხის კეთილდღეობისათვის.

პოეტი მოსაშვილი წარსულისა და აწმყოს დაპირისპირებით ასახავს სამშობლოს თემას. ის ნიშანდობლივ პოეტურ სურათებში იძლევა საქართველოს შავ-ბნელ წარსულს. მის შვილთა გმირობასა და გაუტეხავ ნებისყოფას. პოეტი ყურს უგდებს „შორეული დღეების კვნესას“, რომ უფრო მძაფრად განიცადოს დღევანდელი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერებით აელვარებული სახე, რომ მადლიერმა უთხრას სამშობლოს:

„ჩემო სამშობლოვ, როგორ მალაღობ,
ყველგან სიამით სავსე გულია,
შევხედავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს,—
სიცოცხლე მართლა სიხარულია“.

პოეტი შეჰხარის სოციალისტური სამშობლოს მთელ ცისქვეშეთს, უმღერის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას, რომელსაც სამშობლოში მზე შემოაქვს, რომ დაჰკიდოს აყვავებული სოფლებსა და ქალაქებს; პოეტი მღერის წითელი ჯარის, მესაზღვრის, მფრინავის, მეზღვაურის სიმღერებს. ეს სიმღერა ბედნიერი კაცის სიმღერაა, რომელიც წარმოიშვა ხალხის სულში, რომელიც წარსულში სევდიანი იყო, ოხვრასთან ერთად იზრდებოდა, მაგრამ ბრძოლისა და სიურჩის ნებისყოფას გამოხატავდა; ახლა ეს სიმღერა გამარჯვებულ გმირთან მეორედ დაიბადა:

„ეს სიმღერა სხვა გმირების ჯიშმა
გამოზარდა, ასწია და ანთო,
ის მზეში და ქარიშხალში იშვა
და ოქტომბრის სიმღერაა მარტო!“.

ბელადისა და სამშობლოს თემას პოეტი ორგანიულად უკავშირებს ხალხთა სტალინური მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის მოტივს. ეს მოტივი პოეტს გაშლილი აქვს ლამაზ ლექსებში: „მარიამ დემჩენკოს“, „ბელორუსიის ღამე“, „ბელორუსიაში“, „არყის ტყე“, „საღამო დვინაზე“, „მოდის დოლორეს“ და სხვ.

მხატვრული სტრუქტურის თვალსაზრისით, თვალში მოსახვედრია მოსაშვილის ლექსების მეტრიული და ერთგვარი კომპოზიციური ერთფეროვნება. ყოველი განწყობილების, პოეტური აზრის ყოველი მიმოხვრის ზომად პოეტს უმთავრესად მომარჯვებული აქვს ათმარცვლოვანი ლექსი. ლექსის ამ ზომამ არა მარტო მოსაშვილის, არამედ მთელს უახლოეს ქართულ პოეზიაში გაბატონებული ადგილი დაიჭირა. პოეტური ფრაზის ტევადობისა და რიტმიული აღნაგობის მხრივ ათმარცვლოვან ლექსს თავისი ღირსებები აქვს. მაგრამ ამ ზომით მეტის-მეტად გატაცება უფრო პოეტური მოდის გამოდევნებაა, ვიდრე პოეტური ინდივიდუალობის გამოვლენის ცდა.

ი. მოსაშვილის ლექსებში პოეტური სინათლის, ჩრდილებისა და ფერების ხშირად ერთგვარი შეზავება ჰქმნის ლექსების კომპოზიციური ერთფეროვნების შთაბეჭდილებას.

პოეტ ი. მოსაშვილის სახით ქართულ საბჭოთა პოეზიას მოეპოვება ფრიად ნიჭიერი და გულწრფელი ჯანცდის პოეტი. მისი შემდგომი შემოქმედებითი ზრდის აუცილებელ პირობას იდეური ზრდა წარმოადგენს. ეს კი დაუღალავი შრომისა და სწავლის საქმეა.

## ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა

(ნაწყვეტი მე-3 ქებიდან)

### ბაირონი

1

ო, ადა, შვილო! შენ დედის თუ გამოგყვა სახე,
უკანასკნელო ნაშიერო ჩემის გვარისა?
თვალთა ციმციმით მიღიმოდი, ბოლოს რომ გნახე,
ოდეს ნასახი იმედისა, აწ სულ მკვდარისა,
მიჩანდა კიდევ... გამეღვიძა. გრიალებს ქარი,
წყალი დაღელავს ჩემს გარშემო ლაჟვარდ ღვარებად.
მივალ, არ ვიცი, სად მიმიყვანს ხომალდი ჩქარი,
მაგრამ გაქრება ალბიონის ნაპირი წყნარი,
და ძველებურად არ შემიპყრობს მე მწუხარება.

2

ისევ ზღვაში ვარ! მიმაფრენენ ზვირთნი ხმაურით.
ტალღა მშფოთვარე მორჩილია იმგვარად ჩემი,
როგორც თავისი მხნე პატრონის ქვეშ ბედაური.
მე ვიტყვი ყველგან, სადაც უნდა წავიდეს გემი:
სალამი ღელვას!—დე, ტლაშუნი გრიგალის ფრთისა
მიფლეთდეს აფრას, მაინც ისევ წინ ვივლი მალი!
ვარ მე იმგვარი, ვით ბალახი—ნადავლი ზღვისა:
მას, თუ კი მკერდი მოიცილებს მშობელის კლდისა,
თავის ნებაზე ბობოქარი წაიღებს წყალი.

3

სიჭაბუკის ჟამს ერთს ვუმღერდი მოხეტიალეს,
ვინც გაურბოდა საკუთარი გონების წყვდიადს.
სიმღერა მისთვის კვლავ მომწყურდა მის მოტრფიალეს,
და დავატარებ ჩემს ნებაზე მე იმას, ზ ვიადს,
ისე, ვით ღრუბელს ქარტეხილი; ამ ამბავს კვალი
უჩანს დიდი ხნის ფიქრისა და ცრემლთა დენისა,
რომელთ მიქცევამ მიატოვა ნაპირი მშრალი,
სადაც ყვავილებს გაზაფხულის ვერ გაშლის ძალი,—
მწირი ადგილი უნაყოფო წელთა რბენისა.

4

ჩანგის და გულის დამეგლიჯა სიმები, ალბად,
მით, რომ ნაღველი ჩემს ვნებებში ბევრი ერია,—
ჟღერენ ისინი, ორთავენი ამჟამად ყალბად,
ამაოდ ვცდილობ, რომ ვიმღერო, ვით მიმღერია.
მაგრამ დასჩემდეს, დაე, ჩემს ჰანგს მოწყენილობა,
იგი ხომ მაინც გამიფანტავს დამქანცველ რულსა,
რომლის წიაღში მეზიდება მე გულგრილობა.
ვიმღერებ, თუნდაც ამ სიმღერის სიამ-ტკბილობა
მე ვაგრძნობინო მარტოოდენ საკუთარ სულსა.

5

ვინცა დაბერდა ამ ვაების ბნელ ქვეყანაში,
დაბერდა დიდთა საქმეთაგან და არა წლებით;
ვისაც არ ართობს წუთისოფლის ყალბი თამაში;
ვინც აღარა გრძნობს და არ იწვის მიწიერ ვნებით;
ვინც უკვე დარტყმას ველარ იტანს ფარულ დანებით,
რომლითაც ჰკოდვენ სიამაყეს, დიდებას, პატივს,—
ის, მოხიბლული ველებით და ტყის ამწვანებით,
განმარტოვდება, რომ გაერთოს ნათელ ზმანებით
და რომ სიხარულს და სიამეს მიეცეს მარტივს.

6

ჩვენ ვაძლევთ სახეს, რომ ცოცხლობდეს ზედმეტი ხანი,
ჩვენს უფაქიზეს ფანტაზიას, ოცნებას ლამაზს;
ამ გზით არსება მოგვეცემა იმისი მგვანი,
რაც ფიქრადა გვაქვს,—ვით ამჟამად სჩავდივარ ამას.
რა ვარ მე თავად?—არაფერი! სამაგიეროდ,
ჩემთა ზრახვათა ხელმძღვანელო, შენ, სულო დიდო,
მე შემიძლიან შენთან ერთად ვათვალიერო
ცა და ქვეყანა და ძალ-ღონე გავიძლიერო,
რათა ამდენი დაღუპული გრძნობები ვზიდო.

7

მაგრამ ესოდენ გული ჩემი კაეშნის დანამ
არ უნდა სეროს; მე ხანგრძლივად ფიქრები ბნელი
ტვინს მიქანცავდნენ ორთქლოვანის დუღილით, სანამ
იგი არ გახდა მწველ გზნებათა უფსკრული მთელი.
არ შევაჩვიე სიყრმიდანვე დათმობას გული,
წყარო ცხოვრების მომეწამლა; აწ შევიცვალე
მე, თუმცა გვიან. ძალა მაინც შემომრჩა სრული,
რომ გადვიტანო უკურნავი ჟამთაგან წყლული
და არ ვემდურო ბედს მის გამო, რაც მე ვიწვალე.

თარგმანი ინგლისურიდან
**კონსტანტინე ჭიჭინაძისა.**

## ნ უ ც ა   ჩ ხ ე ი ძ ე

(მსახიობის პორტრეტი)

[illegible] სახეს გვიხატავდა ნუცა. არც ერთი შტრიხით არ გვიჩვენებდა იმას, რომ მარგარიტა ფრანგის ქალია. ამ როლის ასეთი განსჯა რასაკვირველია სწორია.

განა მარგარიტას სულიერი დრამა [illegible]

[illegible] სი საკუთარი შვილები გამოჰყავდა) შეშინებული ტირილს იწყებდნენ ხოლმე. ამ დროს მე, როგორც მაყურებელს, ბავშვები კი არ მეცოდებოდნენ, მეცოდებოდა თვით ნუცა-მედეა. თუმცა მე (მაშინ ბავშვი) უფრო ზატარების ბედს უნდა შევეწუხებინე, ვიდრე დედისას.

მესამე სახე, რომელიც მე ნათლად ჩამრჩა მეხსიერებაში, არის ნუცას ზეინაბი. ზეინაბის როლს ნუცა თავიდან ბოლომდე სრულყოფით თამაშობდა, მაგრამ განსაკუთრებით განსაცვიფრებელი იყო მეხუთე მოქმედების იმ სცენაში, როდესაც დამარცხებული სულეიმანის წინაშე წარსდგება ზეინაბი როგორც საქართველოს დედოფალი. სულეიმანის სიტყვების შემდეგ: „გამარჯვება შენ დაგრჩა დედოფალო. უბრძანე მომკლან“, დაიწყებდა ნუცა თავის შესანიშნავ მონოლოგს: „ხმა! მონავ, განა შენ მე მომკალი?..“ ამ დროს ნუცა სწორედ გაშმაგებული ვეფხვი იყო. ის მთლიანად გამოიცვლებოდა ხოლმე. თვალები უცნაურად აენთებოდა, თითქოს ფიზიკურად იზრდებოდა საერთოდ ისე იცვლებოდა, რომ სცენაზე მყოფ მსახიობებს დიდი თავშეკავება სჭირდებოდათ, რომ ნუცა-ზეინაბის ცქერით თავიანთი როლიდან არ ამოვარდნილიყვნენ.

ყოველი როლი, ნუცას მიერ შესრულებული, წარმოუდგენლად აღელვებდა მაყურებელს. ხანდახან მაყურებელი თავს ვერ იკავებდა და დარბაზიდან ეხმაურებოდა ნუცას მიერ განსახიერებულ გმირს. განსაკუთრებით ვერა ფარავდა თავის გრძნობებს ქუთაისის ახალგაზრდობა, მოწაფეობა, რომელიც ჩვეულებრივ ქანდარაზე იჯდა. ნუცას თამაში იმდენად აღელვებდა ახალგაზრდებს, რომ ვერც ერთ მოწაფეს ვერ დაინახავდი დამჯდარს. ყველანი ფეხზე იდგნენ და წინ წამოწეულნი სცენას გადაჰყურებდნენ. შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, თითქოს ნუცას მიერ განსახიერებული გმირის საშველად ქანდარიდან სცენაზე ეპირებიან გადახტომასო.

მახსოვს, სცენაზე „მარიამ სტიუარტი“ მიდიოდა. იმ მომენტში, როდესაც ვალერიან გუნიამ ნაჯახი ხელში აიღო ნუცა-სტიუარტისთვის დასარტყმელად, ერთ-ერთმა აღშფოთებულმა მოწაფემ თავი ვერ შეიკავა და ქანდარიდან თავგანწირული ხმით გადასძახა: „მაგას ნუ მაგას არ დაჰკრა!“ ასეთი საყვარელი იყვნენ ნუცას მიერ სცენაზე განხორციელებული გმირები.

ნუცა ხშირად თავისი თამაშით ზოგიერთი ნაწარმოების ხარისხსაც ამაღლებდა. ნ. შიუკაშვილის დრამამ „სიმახინჯემ“ დიდი გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის სცენაზე სწორედ იმის გამო, რომ ამ პიესაში ნუცა მთავარი გმირის — სონას როლს თამაშობდა. ნუცას სონას სახე ტრაგედიის გმირის სიძლიერემდე აჰყავდა. ნუცა-სონას სახეზე თავიდანვე აღბეჭდილი იყო მისი საბედისწერო ყოფა. საოცარი იყო ნუცა-სონა პატარძლად მორთული, მას მთლიანად მკვდრის ელფერი ედო. თუმცა დრამის მსვლელობის მიხედვით ვერ შეატყობდით თუ სონა ასე გმირულად გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს, მაგრამ პატარძლის სასიკვდილო ელფერი წინდაწინვე გაგრძნობინებდათ, რომ მისი ცოცხლად დარჩენა შეუძლებელი იყო. ნუცას მიხვრა-მოხვრა, მისი ინტონაცია და სახის ბუნებრივი სიყვითლე უეჭველად გაფიქრებინებდათ, რომ საქმე სასიკვდილოდ განწირულ ადამიანთან გაქვთ.

ნუცას ისეთი როლებიც უთამაშნია, რომლებიც არც ტრაგიკულ და არც ძლიერ დრამატიულ როლებს არ მიეკუთვნებიან. პიესა „ტაიფუნში“ ნუცა ასრულებდა ელენე ლაროშის როლს. ელენე ლაროში მეტად ჭირვეული, აღგზნებული და უხიაკი პიროვნებაა, რომელსაც სურს თავის შეყვარებულს ტოკერაბოს ყოველი თავისი ჟინი აასრულებინოს, როცა ელენე ლაროში ამას ვერ ახერხებს, მაშინ ის ტაკერაბოს ეროვნულ გრძნობებს შეურაცყოფს, რათა მოთმინებიდან გამოიყვანოს იგი. შესანიშნავი იყო ნუცა ამ დროს: ხელებს უცნაურად მოკუმშავდა თითქოს ამით ხელში მოიმწყვდია ტოკერაბოო, და აღგზნებული ხმით შესძახებდა: „იაპონელო მაკაკავ“. ნუცა ამ სახასიათო როლს ძლიერ დრამატიულ იერს აძლევდა.

ვნახე ნუცა რუსთაველის თეატრის სცენაზეც. იგი კრუჩინინას თამაშობდა (ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“). ნუცას კრუჩინინა სადა თავმდაბალი, მაღალი ზნეობის სპეტაკი ადამიანია. აქაც, მე მგონია, ნუცამ გამონახა კრუჩინინას ხასიათის მთავარი თვისება და ის ისე განახორციელა, რომ მაყურებელს სწორად და რეალურად წარმოუსახა კრუჩინინას ნამდვილი ცხოვრება.

ნუცა ჩხეიძე ბუნებრივად დაჯილდოვებულია ტრაგიკული მსახიობის ტემპერამენტით. მის მიერ ტრაგედიის სიმაღლეზე გმირთა აყვანა შედეგია მისი ტემპერამენტის და გარდაქმნის უშუალო ნიჭისა. ნუცა უახლოვებს თავის პირად ხასიათს გმირის თვისებებს, მთლიანად ეუფლება ამ თვისებებს, აქცენტს გმირის ხასიათის იმ თვისებებზე აკეთებს, რომლებიც პიესის შინაარსის მიხედვით არის ნავულისხმევი.

გმირის ხასიათთან „შედუღების“ შემდეგ ნუცას მაინც რჩება რომელიღაც „მეექვსე“ (აქტიორული) გრძნობა, რომლის საშუალებითაც ის თავის თავს კონტროლს უწევს სცენაზე. „მერამპის იქით ვერას ვხედავ, —ამბობს ის, — მაგრამ ყოველთვის უხერხულად ვგრძნობდი თავს, თუ პირველ რიგში მჯდარი მაყურებელი ცრემლებს არ იწმენდდა თავისი დიდი ცხვირსახოცით. მე თამაშის დროს მხედველობით მას ვერ ვამჩნევდი, მაგრამ მის რეაქციას ჩემს თამაშზე ყოველთვის ვგრძნობდი“. მედეას თამაშის დროს, როდესაც ნუცას ბავშვები შემოჰყავს სცენაზედ, იგი ისე არის აღელვებული, რომ ძნელი წარმოსადგენია მას მაშინ ამ ქვეყნის რაიმე ესმოდეს. „დედა ამ დროს ისეთი საშინელი იყო, რომ ჩვენ, ბავშვებს, გვეშინოდა და ტირილს მოვრთავდით ხოლმე. დედა თავზე ხელს გადაგვისვამდა და ჩუმად ჩაგვჩურჩულებდა: „ნუ სტირით ტირილი არ უნდა! დედას ამ დროს ხელი უცახცახებდა“,—გვიამბობს ნუცას ქალიშვილი მსახიობი მერი ქორელი.

ჭეშმარიტად შესრულების იდეალია, თუ ასეთ ძლიერ და ღრმა გრძნობებთან ერთად მსახიობს რჩება უნარი კონტროლი გაუწიოს თავის გრძნობებს.

**ელენე კვირკველია.**

## პოეტი და სარდალი

### აკაკი ბელიაშვილი

თბილისში ჩვეულებრივად ადრე გაზაფხულდა. კრწანისის, სეიდაბადისა და გარეუბნის ბაღებში ახლად გაღვიძებული ხეხილის რტოები უცბად გადაიპენტნენ თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით. დამსკდარი კვირტებიდან გადმოშლილი დახვეული ნაზი ფოთლები ნიავის ყოველ ჩამოქროლვაზე ირხეოდნენ და თითქო გაუბედავად იშლებოდნენ. აქამდე მიყრუებულ ქალაქსაც დაეტყო გამოცოცხლება. ქარგულ აივნებზე და მიწით მოტკეპნილ ბანებზე გამოეფინენ ლეჩაქიანი დიასახლისები და ყოველ კუთხეში, ყოველ ფერდობზე, საფეხურებივით ჩამოლაგებულ ბანებზე, ვიწრო შუკებში, საყდართა ბჭეებთან, აბანოებთან ისმოდა მათი მხიარული მასლაათი. ზოგი ხალიჩებს ბერტყავდა, ზოგი მაყალს აღვიებდა, ზოგი ხელსაქმით იყო გართული. ქალაქის გამოცოცხლება თითქო ბეღურებსაც უხაროდათ, თავგამეტებით ჟიოდნენ, მტვრიან ფოლორცებზე ერთის ფათქუნით და ალიაქოთით ნაკელს ქექავდნენ და ყოველი გამვლელის მოახლოებაზე, თითქო თოფის წამალი აფეთქებულიყვეს, ბრიალით მიფრინავდნენ მაღლა.

სასახლის ბაღში შადრევნები აახქეფეს — ერეკლე ბატონის ჩამობრძანებას ელოდნენ. მარმარილოს ოთხი დიდი ლომის დაღებულ პირიდან შხუილით გადაირკალა წყლის ოთხი კამარა დიდ აუზში, რომელშიაც თეთრი ტყავის წინსაფრიანი ფარეშები კალათებით ჰყრიდნენ ზამთრის აუზიდან ამოყვანილ ცოცხალ თევზებს.

ქალაქის მოურავი, მელიქისა და ასასბაშის თანხლებით მთელი დღე ქალაქში დადიოდა, ქუჩებს ათვალიერებდა, განკარგულებებს იძლეოდა და ასასებს სტუქსავდა, თუ კი სადმე დაუგველ ან ატალახებულ ქუჩას წააწყდებოდა.

კომბლებით შეიარაღებული ასასები მორჩილად ისმენდნენ მოურავის ტუქსვას და შემდეგ, როგორც კი მოურავი მეორე შუკაში გაუხვევდა, მედიდურ გამომეტყველებას ღებულობდნენ და მოქალაქეებს ერთ ალიაქოთს უტეხავდნენ.

მოურავმა რამდენიმე ქუჩა გაირა. ნარიყალას ციხის აბანოებთან გვერდი აუარა და განჯის კართან ავიდა. ციხის კედლებზე სამასი კალატოზი ეყენა— მონგრეულ და დაშლილ ქონგურებს, კედლის ბზარებს შეკეთება სჭირდებოდა. კალატოზები გაფაციცებით მუშაობდნენ, მათ ერთ კვირაში შემოუარეს ქალაქის კედლებს, სწრაფად შეაკეთეს დაზიანებული ადგილები. სტეფანე სარაიდარისაგან გაიგეს, ერეკლე ბატონს ნახჭევანიდან ბარათი მოეწერა და ებრძანებინა, „მოურავმან, ციხის ზღუდენი: კალისა, მეტეხისა, გარეუბნისა, სტამბოლის კოშკი, მაღალი ციხე, სადაცა იყოს შემუსრვილი, ყოველგან აღაშენოს და შეაკეთოს, ხოლო ბჭენი მოჭედოს სალტითა და შუბის თავებითა“. კალატოზები ჩქარობდნენ, უნდოდათ ერეკლესთვის მზად დაეხვედრებინათ შეკეთებული ზღუდეები.

უზბაშს ოსტატებისთვის სადილი ამოეტანა და როდესაც მოურავი ციხის გალავანზე ავიდა, ყველანი პურის ჭამად უსხდნენ. ზღუდის ძირას, ახლად აბიბინებულ მოლზე გაეშალათ სუფრა. სარაიდარი თავში იჯდა, წინ ბოხჩაში სავსე მათლაფა ედგა და გრძელ-ტარიანი ხის კოვზით მადიანად შეექცეოდა. მერიქიფეები ყანწებით ღვინოს დაატარებდნენ და რიგრიგობით მოსადილეებს აწოდებდნენ.

მოურავის დანახვაზე ყველანი მორიდებულად ფეხზე წამოიშალნენ, აფუსფუსებული მერიქიფეები და ფარეშები შედგნენ და თავი მდაბლად დახარეს. ოსტატები მოურავს მიესალმნენ და სარაიდარმა ხმამაღლა დაიძახა:

— სალამი და დღეგრძელობა ჩვენს მოურავს!

— ღვთისა და ბატონის წყალობა ნუ მოგიშალოთ! დასხედით, პურის ჭამას ნუ აშლით, — ხვნეშით უპასუხა მოურავმა.

სარაიდარმა თვალით ანიშნა უზბაშს, რომელიც მაშინვე მიხვდა და თითონაც თვალით ანიშნა ფარეშს. მაშინვე მოურავს, მელიქს და ასასბაშს მერიქიფეებმა სავსე ყანწები მიართვეს.

მოურავმა ყანწი ჩამოართვა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, პირჯვარი გამოისახა და დაილოცა.

— კეთილის ხელით ყოფილიყოს ნაშენი ზღუდენი და ცახენი ტფილისისანი. ბარაქა, მადლი, სიკეთე ნუ მოაკლოს ღმერთმა, ოსტატებო, თქვენს მარჯვენას!

— ამინ შენსა მადლსა! — უპასუხეს ოსტატებმა.

ყანწის დაცლის დროს მოურავმა მაღალი ციხის ქონგურებზე ორი კაცი შენიშნა, რომელნიც თითქო რაღაცას ათვალიერებდნენ. თვალი შორ მანძილზე კარგად უჭრიდა მოურავს, მაგრამ ისინი მაინც ვერ იცნო. ყანწი დაცალა, ულვაშები ჭრელი ხელსახოცით გადაიწმინდა და სარაიდარს ჰკითხა:

— ისინი ვინ არიან?

— დავით ორბელიანი გახლავთ, შენი ჭირიმე. ციხეზღუდეებს და ზარბაზნებს ათვალიერებს, — უპასუხა სარაიდარმა. და მაღალი ციხის ქონგურებს იმანაც შეავლო თვალი, — სოლოლაკის ზღუდე ცუდად შეგიკეთებიათო, ისეთი ამბავი დაგვათია, რომ... — შესჩივლა სარაიდარმა მოურავს და თავი გააქნია. ეგონა, მოურავი გაჯავრდებოდა და გამოესარჩლებოდა ოსტატებს, მაგრამ მოურავმა არაფერი არ უპასუხა. მხოლოდ იკითხა:

— ის მეორე ვიღაა?

— ზაქარია უსჯულოს ვაჟი გახლავთ, ბესიკი.

— მეშტვირე?! — დამცინავი ღიმილით წამოიძახა მოურავმა.

ბესიკმა რამდენიმე საოხუნჯო ლექსი გამოუთქვა მოურავს, სასახლეში ერეკლე ბატონის თანადასწრებით საჯაროდ წაიკითხა და ისე აცინა ხალხი, რომ ყველას ფერდები ასტკივდა მეტის ხარხარით. სხვების შესახედავად მოურავიც იცინოდა, თუმცა სრულიადაც არ ეცინებოდა და იმასა ნატრობდა, ნეტავ მაშინ მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. ეს ამბავი გულში ჩარჩა და ჯავრს მხოლოდ იმით იყრიდა, რომ ბესიკს ყოველ ადგილას მეშტვირედ იხსენიებდა.

დავითი და ბესიკი დილიდანვე ათვალიერებდნენ ქალაქის ზღუდეებს.

დავითი ახალი ჩამოსული იყო პეტერბურღიდან აშტარხნის გზით.

ხუთი წელი დაჰყო დავითმა პეტერბურღს, სადაც ჯერ ღენერალ რუმიანცევთან და შემდეგ ღენერალისსიმუს სუვოროვ - რიმნიკსკისთან საბრძოლო საქმეს სწავლობდა. რამდენიმე ლაშქრობაშიაც მიიღო მონაწილეობა პოლონელთა წინააღმდეგ, მალე, ალბათ, ღენერლის ჩინსაც მიიღებდა, მაგრამ ერეკლე ბატონის ბარათი მიიღო და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ერეკლე ბარათით უთვლიდა საქართველოს გაჭირვებას, ლაშქრის უყოლობას და აჩქარებდა ტფილისში დაბრუნებას, რათა დავითი სათავეში ჩასდგომოდა ქართველთა ლაშქარს და ეკისრა სარდლობა.

ბესიკი მისი ყრმობის მეგობარი იყო. როდესაც ზაქარია, ბესიკის მამა, ექსორიაქმნილი, ღირსება ახდილი, განძარცვული, ქუთაისს გადაასახლეს, ბესიკი დავითმა შეიფარა თავის მამის სასახლეში. ორივენი ერთად სწავლობდნენ ფილოსოფიურ სემინარიაში ლათინთა, ბერძენთა და არაბთა ენას. დავითი ენებზე ცოტა მწყრალად იყო და თავი გამოლაყებული ჰქონდა ამ „ეკლესია ინტექტუმ აურატუმ“-ებით. ბესიკი, პირიქით, ადვილად ითვისებდა უცხოთა ენებს და ორი წლის შემდეგ თავისუფლად ესაუბრებოდა იტალიელ კაპუცინებსა და ირანელ ელჩებს. სამაგიეროდ დავითს ვერავინ სჯობნიდა ცხენოსნობაში და ხმლის ხმარებაში.

დავითის რუსეთში წასვლის შემდეგ ბესიკი ისევ ორბელიანთა ოჯახში დარჩა და ჯერ კიდევ სამოწყალოდ უხდებოდა ყოფნა, სანამ მისმა ლექსებმა ერეკლეს ყურებამდე არ მიაღწიეს და ირანულ წესებზე აღზრდილმა მეფემ ბესიკი კარის მგოსნად არ მიიწვია. საათნავა უკვე განდევნილი ჰყავდა მეფეს, ხოლო თბილისში რამდენიმე უხეირო აშუღის მეტი პოეტი არ იყო, რომელსაც შესძლებოდა სასახლე დაემშვენებინა და უცბად აღმოჩნდა ეს ახალგაზრდა, რომელსაც პატრმა დომინიკემ თბილისის რონსარი უწოდა. ერეკლემ წყალობის სიგელი დაუწერა, სასახლეში სარჩო მიუჩინა, წელიწადში ასოცი ფლური ჯამაგირით.

ახალგაზრდა ბესიკი სასახლეში პირველად მორიდებულად იყო, მაგრამ მასთან დამეგობრებულ ლევან ბატონიშვილის წყალობით სითამამე მოემატა და დარბაზობაზე ლექსის კითხვის დროს ხმა უკვე აღარ უკანკალებდა. ლაღად და თავისუფლად გამოდიოდა დარბაზის შუაგულს. ჯერ ერეკლე ბატონს დაუკრავდა მორჩილად თავს, მერე დარეჯან დედოფალს და სეფექალებს, შემდეგ დიდებულებს და როდესაც გაიმართებოდა ლექსთა საკითხავად, კელაპტრებივით ენთებოდათ სეფექალებს თვალები.

თითქოს ყვავილნარში სიოს გადაერბინოს, ისე შრიალებდნენ სეფექალთა სტავრა-აბრეშუმის კაბები. თუმცა პირველ ხანებში ჭაბუკი პოეტი თამამად ვერცერთს ვერ უმართავდა თვალს და უფრო ხშირად სარკეებით და ბროლით მოვარაყებულ ჭერს შესცქეროდა ლექსთა კითხვის დროს, მაგრამ როდესაც დედოფალმა ის რამდენჯერმე ფერხთით დაისვა და დედაშვილურად მოეფერა, სითამამე მოემატა და სეფე - ქალებმა მალე დაუშინაურეს. თამამად ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ, შაირებს ათქმევინებდნენ.

დავითის დაბრუნების დროს ბესიკი უკვე შინაურ კაცად იყო მიღებული სასახლის კარზე. პირველად შეხვედრის დროს ველარც კი იცნეს ერთმანეთი დავითმა და ბესიკმა. გამოცვლილიყვნენ ორივენი. ახოვან ბესიკს ახლად აყრილი ულვაშები ამშვენებდა, დავითს კი — ის ბევრად უფროსი იყო ბესიკზე — მტკაველი ულვაშები გადასწოლოდა სახეზე. რუსთა მხედრობის ტანსაცმელით იყო მორთული. სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს ამდენი ხნის უნახავი მეგობრები. მთელი ერთი თვის განმავლობაში უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს ერთმანეთს და არ უჩანდა ბოლო მათ საუბარს და დროსტარებას.

დადიოდნენ ერთად. ყავახანებში უცქეროდნენ ყარაგიოზას ლანდების თეატრის სასეირო წარმოდგენებს, ასმენდნენ აშუღების გაუთავებელ სიმღერებს როსტომზე, ქოროღლიზე, ყარაბოღლიზე, საუბრობდნენ ირანელ სოვდაგრებთან ომარ ჰაიამის რუბაიებზე და საჰადის ხოტბებზე. ადარებდნენ რუსთაველს ირანელ პოეტებს და გრძელწვერა დარბაისელი სოვდაგრები მარტივად სჭრიდნენ საკითხს:

თქვენ ერთი რუსთაველი გყავთ, ჩვენ კი ხუთიო. ბესიკი სიცილით ეუბნებოდა, სამაგიეროდ თქვენ ათასნი ხართ, ჩვენ კი მხოლოდ ათნიო.

როდესაც ზამთრის შემდეგ პირველად გაისმა გაზაფხულის ჭექა-ქუხილი, ერთად უქეიფეს წვიმით განბანილ ახლად აყვავებულ კრწანისის ბაღებში. სირაჯმა ჰავაქამ ატმისა და ნუშის აყვავილებულ რტოების ქვეშ გაუშალა სუფრა სასურველ სტუმრებს და მთელი დღე არ ჩამქრალა საზანდრის საამო ღუღუნი და საქეიფოდ მოსული არიფების ცისკენ აფრენილი სიმღერების კრიალა ხმები.

თითქოს უცხოეთიდან მოსული სტუმარი ყოფილიყოს, ისე დაჰყავდა ბესიკს დავითი დედა-ქალაქში, უნდოდა ყველაფერი ეჩვენებინა მისთვის, ყველაფერი ის, რაც ბავშვობის დროს მათთვის აკრძალული იყო, ხოლო ვაჟკაცს კი არ ეზრახებოდა. ერთ საღამოს ბესიკმა უთხრა დავითს, რომ ავთანდილივით მასაცა ჰყავდა თავისი ფატმანი, ახალციხელი სოვდაგრის ალა-იბრეიმის მეუღლე გულნარა, და რომ იმ საღამოს მასთან მიწვეულნი იყვნენ ორივენი. გულნარას მულს, ქვრივ ჯავაირას მოეკრა თვალი დავითისათვის და ტრფობის ალი მოსდებოდა.

ორივენი იდუმალად ესტუმრნენ ტურფა ქალებს, რომელთა ოჯახის უფროსი სტამბოლს იყო წასული და არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა.

მდიდრულად მორთულ დარბაზში მიიღეს სტუმრები რძალ-მულმა. ფეხი ეფლობოდათ ირანულ ძვირფას ნოხებში.

მთელი ღამე ბალიშებზე ყეინებივით ნახევრად წამოწოლილი ბესიკი და დავითი შეექცეოდნენ აღმოსავლურ ტკბილეულობას, ჩინური ფაიფურის ფიალებით სვამდნენ ხან ყავას, ხან შარბათს და უცქეროდნენ ჟინით აღმოდებულ ქალებს, რომელთა აღტაცებას ამ ორი ოცნებამდე თავაზიანი რაინდის სტუმრობის კამო საზღვარი არა ჰქონდა. სიფრიფანა, ბოლივით თხელი, აბრეშუმის კაბებში მორთული და ფამრადი [illegible]

(დასასრული მე-4 გვ.)

ფრაგმენტი რომანიდან „ბედი ქართლისა“.

# გიორგი ერისთავის თეატრი

**გ. ბუხნიკაშვილი**

13 იანვარს სრულდება 90 წელი [illegible]

[illegible] ფსიულ თეატრისა. დადგმულ იქნა მისივე კომედია — „გაყრა".

თეატრმა პირველივე წარმოდგენით დიდი გამარჯვება მოიპოვა, რასაც აღნიშნავს იმდროინდელი პრესა. გიორგი ერისთავის მიერ მომზადებულმა მსახიობებმა თავისი ნიჭით და მუყაითი შრომით დიდად შეუწყეს ხელი თეატრის წარმატებას. თვით გიორგი ერისთავი რეჟისორიც იყო და აქტიორიც. თვითონვე სწერდა ახალ პიესებს და აქეზებდა ამ დიდი საქმისათვის სხვა მსახიობებსაც.

რეცენზენტი გიორგი თუმანიშვილი იმ დროინდელ გაზეთ „კავკაზში" სწერდა:

„გაგიგონიათ თქვენ ოდესმე ანტონოვის, ჯაფარიძის, დვანაძის, მეიფარიანის შესახებ? შეხვედრიხართ ამ სახელებს სადმე მწერლობის სფეროში, მით უმეტეს დრამატიულ მწერლობაში? არა, ალბათ, არსად შეხვედრიხართ, თბილისის თეატრალურ აფიშებს გარდა. ესენი არიან ჩვენი აქტიორ-მწერლები, რომელთაც უპასუხოდ არ დასტოვეს ერისთავის გამოწვევა და რომელთა შრომებითაც თითქმის არსებობს ქართული სცენა".

ამრიგად, თეატრის მეშვეობით ვითარდებოდა ქართული დრამატურგიაც.

თეატრი განვითარების გზაზე იდგა, მაგრამ მისი არსებობა უდღეური აღმოჩნდა. მმართველმა წრეებმა, ცარიზმის მოხელეებმა და ქართველი თავადაზნაურობის რეაქციულმა წრეებმა აითვალისწუნეს თეატრი. ეს მოხდა იმიტომ, რომ თეატრმა არ შეასრულა ის ამოცანები, რომლებსაც მას მმართველი წრეები უსახავდნენ.

თეატრმა შინაარსით თავიდანვე გარკვეული სახე მიიღო. დადგმულ პიესებში თეატრი რეალისტური სიმახვილით ააშკარავებდა მონარქისტული წყობილების შავ-ბნელ სურათებს, მოხელეთა მექრთამეობას, თავაშვებულებას და უზნეობას. იგი დიდი სიძლიერით სახავდა ფეოდალური ფენების განწირულებისა და დაშლის პროცესს.

გიორგი ერისთავის თეატრი გადაიქცა ქართული კულტურის აღორძინების კერად, შემოკრიბა რა თავის ირგვლივ აქტიური ძალები.

მეფის მოხელეებმა თანდათან მოამზადეს ნიადაგი თეატრის გასაუქმებლად. ჯერ შეუზღუდეს ახალი პიესების ნებართვის წესები, შემდეგ გაუძნელეს სათეატრო შენობით სარგებლობის უფლება. პრესაში იწყეს თეატრის გაკიცხვა და ბოლოს შეუწყვიტეს ფულადი დახმარება, რითაც საზრდოობდა და სცოცხლობდა თეატრი. დახმარება არსაიდან სჩანდა. იმ ხანებში არ არსებობდა რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შესძლებდა თეატრისთვის მხარის დაჭერას.

1854-55 წ. წ. სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი დაიხურა. ამის შემდეგ მრავალჯერ ეცადა გიორგი ერისთავის მეგობარი მწერალი ივანე კერესელიძე, განეახლებინა თეატრის მუშაობა, მაგრამ ამაოდ.

სხვადასხვაგვარი დაბრკოლების შექმნით მეფის მოხელენი კერესელიძეს თეატრის მუშაობის განახლების საშუალებას არ აძლევდნენ.

მართალია, გიორგი ერისთავის თეატრი დახურეს ცარიზმის მოხელეებმა, მაგრამ ქართულმა თეატრმა მაინც არ შესწყვიტა არსებობა. ოცდა ხუთი წლის შემდეგ, 1879 წელს, კვლავ საფუძველი ჩაეყარა ქართულ პროფესიონალურ თეატრს. თეატრის მოწყობის ინიციატორები ამხანად იყვნენ [illegible]

[illegible] ტრი იმდროინდელ მძიმე პირობებში დიდი გაბედულებით ააშკარავებდა არსებული სოციალური წყობის უკულმართობას, ცარიზმის მოხელეთა და თავად-აზნაურ-მემამულეთა გახრწნა-გადაგვარებას.

## ბიბლიოგრაფია

# სულხან-საბა ორბელიანი — „მოგზაურობა ევროპაში"

1713-1715 წლებში ევროპაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა. მოხუცი მწერალი ევროპაში გაემგზავრა როგორც ელჩი ვახტანგ მეექვსისა, რომელიც ამ დროს ირანის შაჰის ტყვეობაში იმყოფებოდა. თავისი მოგზაურობა საბამ აღწერა ვრცელ ნარკვევში, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში „ფედერაციამ" გამოსცა.

თუ სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „ევროპაში მოგზაურობის" მნიშვნელობის ამოსაცნობად ლიტერატურის ისტორიის პარალელებს მივმართავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლით სავსე და ხალისიანი „სიბრძნე-სიცრუის" ავტორისათვის ეს წიგნი ისეთივე ნაწარმოები იყო, როგორსაც „დეკამერონის" ავტორისათვის მკაცრი და რიგორისტული „კორბაჩო" წარმოადგენდა. „მოგზაურობას" საბა სწერდა მაშინ, როცა უკვე ბერის ტანსაცმელში იყო გამოხვეული. ეს ფაქტი თავისთავად ხსნის და არსებითად არკვევს ამ წიგნის მსოფლმხედველობას.

ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში საბას მსოფლმხედველობაში რადიკალური გარდატეხა მოხდა. ახლა მას, როგორც ბერს, ყველაფერი ამ ქვეყნიურისათვის უკვე უნდობლობის თვალით უნდა ეცქირნა. ამის მაგალითი მარტო ეს წიგნი როდია. როცა ვახტანგმა „ქილილა და დამანა" საბას სარედაქციოთ („გასაჩალხავად") გაუგზავნა, საბას რა „ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარა მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო". და საბა შემდეგ განაგრძობს: „ბერმონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად „ქილილა-დამანას" აკეთებდეს, ვეჭობ მეფესაც გაეცინოსო".

საბას ეს სულიერი განწყობილება უნდა გვახსოვდეს, როცა მის „ევროპაში მოგზაურობას" ვეცნობით. ამიტომ იყო, რომ მოხუცი მწერალი ველარ გაიტაცა ევროპის რენესანსმა, რომლის მთელი კულტურული საუნჯე რომში ყოფნის დროს მის თვალწინ გადაიშალა.

საბას წიგნში მთელი რომის სურათია ნაჩვენები: აქ აღწერილია თეთრი მარმარილოს სვეტებიანი, ოქრომკედის არშიებით მოქარგული წითელი ქამხის ფარდაგებით მორთული უცხო სასახლეები, რომელთა პლაფონები რენესანსის დიდი ოსტატების მიერ იყო მოხატული. მას უნახავს პეტრეს ეკლესია — ეს ნამდვილი პირმშო მიქელ-ანჯელოსი, ძველ-ქრისტიანული ბაზილიკები და რენესანსის ტაძრები, შადრევნები და ნარინჯის წალკოტები, მარმარილოს აუზები, სადაც ლომების პირიდან წყაროები გადმოსჩქეფდა, უნახავს ვატიკანის უფართოესი გალერეები, მორთული რაფაელის სურათებით და მიქელ-ანჯელოს ფრესკებით, დაუთვალიერებია ქანდაკებები, რომელნიც ძველი საბერძნეთის ვნებიან მითებს ანსახიერებდნენ, უნახავს ანტიური ქვეყნის მხიარული ღმერთები, რომელნიც რენესანსის ოსტატებს ისევ გაეცოცხლებინათ. ყოველი სურათი, აქ მის წინაშე ადამიანური ისტორიის ახალ ფურცელსა ჰშლიდა.

მაგრამ სულხან-საბა არ გაიტაცა იმ მორალურ-ესთეტიურმა იდეალმა, რომელიც ამ ანტიურ მარმარილოებსა და ბრინჯაოს შედევრებში იყო გამოხატული. რომში მან ნახა სურათი ანტიური ღმერთისა, რომელიც ქალს გამოჰკიდებია და როცა დასწევია დაუჭერია, ქალი დაფნის ხედ გადაქცეულა; ნახა სურათები ღვინის ღმერთისა, მაგრამ აღწერა ყველაფერი ეს როგორც საკერპო და არა წმინდა რამ — ძუნწად და ურომანტიკოდ. ძველი რომის ეს წარმართული დიდება და წარსული მის თვალში თითქოს დაჩრდილა ქრისტიანულმა მსოფლიომ. როდესაც კითხულობთ მოგზაურობის აღწერას, გრძნობთ, რომ აქ ყურადღების ცენტრში ქრისტიანული რელიკვიებია მოქცეული.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები გვიჩვენებს იმ სულიერ გარდატეხას, რომელიც საბამ თავისი ცხოვრების ბოლო წლებში განიცადა. მისი ადრინდელი ნაწარმოები, გენიალური წიგნი „სიბრძნე-სიცრუის" აღსავსე იყო სწორედ იმ რეალიზმით, წარმართული სიცოცხლის მოყვარეობით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ევროპის რენესანსის ხელოვნებისათვის. ახლა კი ამ რენესანსის ძეგლებთან პირდაპირ შეხვედრისას და უშუალო ხილვისას ის, როგორც სჩანს, აღარ გაუტაცნია რენესანსის უღმერთო, მაგრამ უაღრესად ადამიანურ ხელოვნებას.

საერთოდ კი ეს წიგნი უმნიშვნელოვანესი ძეგლია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურისა. იგი ინარჩუნებს ყველა იმ მაღალ ღირსებას და უპირატესობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული სტილისათვის. წიგნი უშუალოდ და გულწრფელად აღადგენს იმ დროის სინამდვილეს. საბას ეს წიგნი საინტერესოა იმ მხრივათაც, რომ მისი ელჩობა უკანასკნელი ეტაპი იყო იმ ცდისა, რომელსაც მიმართავდნენ ქართლის მეფეები დასავლეთთან კავშირის დასამყარებლად. ამიერიდან, საბას ელჩობის შემდეგ, საქართველოში გადაუწყდათ ყოველგვარი იმედი, რომ ევროპიდან რაიმე დახმარებას მიიღებდნენ და ხსნის ერთად-ერთი გზა რუსეთის ორიენტაცია-ღა რჩებოდა. მართლაც, ამის შემდეგ ვახტანგის პოლიტიკა ამ უკანასკნელი გზით წარიმართა.

წიგნი გამოცემულია სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. განსაკუთრებით საინტერესოა შენიშვნები, რომლებიც უაღრესად უადვილებენ მასობრივ მკითხველს მოგზაურობის ტექსტის გაგებას.

**გ. ნატროშვილი**

# ი. ნონეშვილი — „ლექსები"

თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში უკანასკნელ წლებში შემოვიდნენ ახალგაზრდა ძალები, რომელთაგან საგრძნობი ნაწილი ამჟღავნებს სათანადო უნარს შემოქმედებითი მუშაობისათვის. ამ წინასწარი პირობის მხატვრული რეალიზაციისათვის მათ სჭირდებათ თავდადებული მუშაობა, ორგანიული კავშირი ცხოვრებასთან, იდეური გარკვეულობა და ბრძოლა პოეტური კულტურის დაუფლებისათვის.

ეხლახან სახელგამმა გამოსცა ახალგაზრდა პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნი. ამ წიგნში თავმოყრილია შერჩევით ის ლექსები, რომლებიც მისმა ავტორმა სამი წლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შექმნა.

როგორ გამოიყურება ამ წიგნის მიხედვით ახალგაზრდა პოეტი? რა იდეები ამოძრავებენ მას?

წინამდებარე კრებული ოცდაოთხ ლექსს შეიცავს. აქედან მხოლოდ ოთხი ლექსი ასე თუ ისე შეეხება თანამედროვეობას, დანარჩენები კი ტრადიციულ თემებზეა დაწერილი. ახალგაზრდა პოეტი გამოდის უმთავრესად ბუნებისა და სიყვარულის მომღერლად. ამ ლექსებს ერთგვარი ლირიკული სითბო ახასიათებს. კარგი ლექსებია: „მოდინახე", „საათი აკაკის ოთახში", „ელნათურებით დაბინდულ სივრცეს", „შემოდგომის ღამე კახეთში", „ღამე ქუთაისში."

მაგრამ ამავე დროს ი. ნონეშვილის ლექსებში შესამჩნევია მანერულობა და პოზიორობა. ახალგაზრდა პოეტი ლაპარაკობს „გულის იარის", „ნაღველის" შესახებ, თავის თავს ადარებს ჭკუაზე შეშლილ ბატიუშკოვს და ასე მიმართავს ქალს:

„მაშ რით გიამბო
ჩემი ამბავი,
ჩემი ბავშვური გულის იარა?!
რა მოვიგონო
ჯადო ამგვარი?!
ეს რა ნაღველი ჩამეზიარა...
რაც არის არის,
სიტურფემ შენმა
სულს ისე მძაფრად გადაუარა,
ვარ ჭკვაშეშლილი
ბატიუშკოვივით,
არ მახსოვს, ლექსი მქონდა თუ არა"...

მსგავსი აზრები შეუფერებელია საერთოდ თანამედროვე პოეტისათვის, მით უმეტეს ახალგაზრდა პოეტისათვის. ყველაფერი ეს დეკადენტობიდან მოდის, ის წმინდა წიგნური წარმოშობისაა...

იოსებ ნონეშვილი ერთგვარ უცნაურობასაც სჩადის, როდესაც სონეტს უკუღმა, შებრუნებულად სწერს (3+3+4+4 სტრიქონი) და ეს შაჰაბაზთან თავისებური გაპაექრების ფორმად მიაჩნია.

საჭირო არ იყო კრებულში ისეთი ლექსების შეტანა, როგორიც არის „რას გიყურებ?", „მე მუდამ ვფიქრობ".

ეს კრებული განსაკუთრებით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ი. ნონეშვილს დიდი ბრძოლა სჭირდება ეპოქის იდეებით გამსჭვალვისათვის და ამ იდეების პოეზიაში გამოხატვისათვის.

მთავარი ადგილი ჩვენი პოეტების შემოქმედებაში უნდა ეჭიროს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს. ეს არ იგრძნობა, სამწუხაროდ, ამ კრებულში.

ი. ნონეშვილი უნარიანი ახალგაზრდაა. მას უსათუოდ გააჩნია პერსპექტივა პოეზიაში მუშაობისათვის. მხოლოდ საჭიროა თავდადებული ბრძოლა იდეურობისა და ოსტატობისათვის.

**დ. ს.**

# პოეტი და სარდალი

**დასასრული**

ლიტით აკანძული ქალები მთელი ღამე ცეკვავდნენ დაირით ხელში ან მღეროდნენ ისეთი ხმებით, თითქო ბროლის შადრევნები გადმოკამკამებდათ ბაგეთაგან.

გათენებისას, ცისკარი რომ მეტეხის ჯვარს ასცდა, დასტოვეს ბესიკმა და დავითმა მომჯადოებელი დარბაზი. შაშიშითა და ქალთა სხეულის მუშკისა და ჰამბრის ნაზი სურნელებით დამთვრალნი, ბარბაცით მიაბიჯებდნენ ქარვასლისა და დახურული ბაზრის ბნელ დერეფნებში. ორივენი ფრთხილად შეიპარნენ სასახლეში და როდესაც ერთგულმა ფარეშმა ტანთ გახადა და ლოგინზე დააწვინა, კიდევ დიდხანს უწიოდა ორივეს ყურებში ბროლივით კამკამა ხმები გედებივით თეთრი, სალუქი ქალებისა.

მეორე დღეს თავის ტკივილი გრილ აბანოში განიბანეს და სანადიროდ დაიწყეს მზადება — თვით მიშკარბაშმა ისურვა მათი თანხლება. მაგრამ საღამოს შიკრიკი მოვიდა, ერეკლე ბატონის ბარათი მოიტანა, სადაც ნაბრძანები იყო, მოურავმან ციხე ქალაქისა შეაკეთოსო და რადგან ჩვენ ესრე გვინებებია, რომ მისი ბრწყინვალება დავით ორბელიანი ქართლ-კახეთის ლაშქრის სარდალი იყოსო, ამიტომ ციხის კედლები მისის თვალყურისდევნებით შეკეთდესო. დავითმა მაშინვე მიანება თავი სანადიროდ მზადებას და სარაიდარებთან ერთად ციხის შეკეთების გეგმას შეუდგა. ზღუდეების დაზიანებული ადგილები კალატოზების საზომი იარაღით დაზომეს, გერმანული ასტროლაბიით გეგმა შეადგინეს და ტყავივით მაგარ ქაღალდზე ქალაქის რუკა დახატეს. ბესიკი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს სარაიდარებისა და დავითის მიერ აჭრელებულ გეომეტრიულ ნახაზებს, რომელნიც მას ირანელ სოვდაგრებთან ნახულ არაბულ პორტოლანებს აგონებდნენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბესიკი განუყრელად ახლდა დავითს და იმ დროს, როდესაც ქალაქის მოურავმა ისინი მაღალი ციხის ქონგურებზე შენიშნა, დავითი ამ დროს ზარბაზნებს ათვალიერებდა, მათი სიმძლავრის ხარისხს ამოწმებდა.

თითბრის ზარბაზნებს მწვანე ჟანგი გადაჰკროდათ. ზოგიერთ მათგანზე არაბული წარწერები იყო. უმეტესობას კი ერეკლეს ბეჭედი ესვა. ყველანი დაბალ-ბორბლებიან ლაფეტებზე იყვნენ დადგმულნი. იქვე ზვინებად ეწყო თუჯის მძიმე ყუმბარები.

— ჩვენ რეღული ლაშქარი გვჭირდება, ისე, როგორც რუსთა ხელმწიფეს ჰყავს, — უთხრა დავითმა ბესიკს, — თორემ აბა ისე რა ფასი აქვს ამ ზარბაზნებს. მთელ ქალაქში ერთი ბომბარდირიც კი არ მოგვეპოვება, რომ ზარბაზნის ყუმბარა ნიშანს მოახვედროს... რუსებს მოსახლე ყმათაგან ათ კაცზე ერთი გაჰყავთ რეღულში და ოცდახუთ წელს ამსახურებენ. ჩვენებურ დალაშქვრას კი მათებურად ოპოლჩენიე ჰქვიან. ეეჰ! ისეთი გაწყობილი ლაშქარი მოგვცა და აბა მაშინ ვნახავდი, რა დაუდგებოდა წინ ქართველ ვაჟკაცობას.

— ასეთ მუდმივ ლაშქარს ბევრი ხარჯი სჭირდება, — შენიშნა ბესიკმა.

— ეეჰ! განა ათ კაცზე ერთს ვერ შევინახავთ? აბა შეხედე მარტო ბჭეებთან დგანან გუშაგები, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მოურავისთვის დაწესებული ბეგარა გამოართონ ქალაქში შემომსვლელსა. ამოდენა ქალაქს კი ღარნიზონი არა ჰყავს. მტერთ არ უწყიან, თორემ ორის კიბით ორასი კაცი ისე მოეპარვის ქალაქს და აიღებს, რომ ხალხი გონს მოსვლასაც ვერ მოასწრებს.

— მტერი გვჯობნის გონებით, — მწარეთ გაეცინა ბესიკს. — მთელი ჩვენი ძალღონე იმას უნდა შევალიოთ, რომ ჩვენივე ციხეებიდან უსჯულონი განვდევნოთ და ის კი ვერ მოგვიხერხებია ჩვენივე სიმაგრეები ხელთ გვეჭიროს.

— შენ ეგა სთქვი და! უმერთა მეფემ სოლომონმა ქუთაისის, შორაპნის და ბაღდადის ციხეებიდან ოსმალნი დიდის ჭირგადახდით განდევნა და იმის მაგივრად რომ თითონ გამაგრებულიყო, ციხეებს მისცა ნალმი და დააქცია. თათრებმა აქ ფეხი აღარ მოიკიდონო. თათრებმა ხელახლად აიღეს ის ციხეები, აღაშენეს სოლომონისავე ქვეშევრდომთა ხელით და ისევ საზრუნავად გაუხდა სოლომონს მათი განდევნა ციხეებიდან. მართალია, სოლომონი მხნეა, ჩვენი ერეკლე ბატონიც დღეგრძელი იყოს, ესეც ხომ მხნეა და მხნე ფრიად, მაგრამ რას გვიქს მარტო მხნეობა. დღემუდამ სულ ომი და ლაშქრობა უხდება, მუდამ ცეცხლში გდებით რკინაც კი იწვის. მტერთა შემოსევას და მათ თარეშს ბოლო არ უჩანს. ერეკლე ბატონი რუსთ ხელმწიფას ეხვეწება მფარველობასა და ჯარსა სთხოვს. განა ჩვენ კი არ შეგვიძლიან რეღული ვიყოლიოთ? განა ერთი გაწვრთნილი მეზარბაზნე არა სჯობიან ასს გაუწვრთნელ მეომარსა? მართალია, სიმხნე და გმირობა შეგვრჩა ძველთაგან, მაგრამ იმას აღარ ვფიქრობთ, რომ უცხოთა ტომთაგან ქვეყნის მართვა და გამგებლობა ვისწავლოთ ახლისა წესებისამებრ.

ბესიკმა მათკენ მომავალი მოურავი დაინახა თავისი ხელქვეითებით და დავითს თვალით ანიშნა.

— ბებერი ტურა და მაბეზღარა მოდის, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— მაგისთანა მექრთამე მოხელენი რომ ეყოლება მეფეს, აბა რა კარგი დღე დაუდგება ქვეყანას! — ამოიოხრა დავითმა, მერე ჩასაკეცი ჭოგრიტი გამართა და იშიტუტრუქისაკენ გაიხედა.

## საზღვარგარეთ

### ომი და მკითხველთა გემოვნება

ნიუ-იორკის გაზეთი „პოსტ მერიდიენი" აღნიშნავს, რომ ომმა ზეგავლენა მოახდინა არა თუ ამერიკის წიგნის ბაზარზე, არამედ მკითხველთა გემოვნებასა და მოთხოვნილებაზედაც. საგულისხმოა, რომ წიგნები ომზე სრულიად არ საღდება, მკითხველი საზოგადოება ამჯობინებს ყველაფერი ომის შესახებ გაზეთებიდან გაიგოს. ყველაზე უფრო მეტი მოთხოვნილება ისეთ რომანებზეა, რომლებშიაც „არ არის არც ერთი სიტყვა თანამედროვეობაზე". კერძოდ, დიდი გასავალი აქვს დედექტიურ რომანებს და ამგვარი სახის მაკულატურას. ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის დღიური ბრუნვაც 38.000 წიგნის გაცემას უდრის, აცხადებს, რომ მკითხველი დაინტერესებულია უმთავრესად „ნეიტრალური" თემატიკის წიგნებით. ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნილება იმ რომანებზეა, რომლებსაც უდიდესი რეკლამა აქვთ.

მკითხველთა გემოვნების დაქვეითება და გამომცემელთა ცდები—გაასაღონ დაბალი ხარისხის ბულვარული მაკულატურა ხელს უწყობენ „დიდ" ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებშიაც დაიბეჭდოს ცინიკური და უზრდელი რეკლამები.

„ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუს" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ასეთი ხასიათის განცხადებები:

მოყვანილია ერთი აბზაცი წიგნიდან და შემდეგ დაბეჭდილია:

„ვინ დასწერა ეს სტრიქონები, ო. ჰენრიმ? სულ ერთია, თქვენ ვერ მიხვდებით, რადგან ეს დასწერა... რობერტ ელიოტმა, სინგ-სინგისა და ექვსი შტატის საპყრობილეების ჯალათმა, იმ საიდუმლო უცნობმა, რომლის ხელებმაც კანონიერად გაამგზავრეს საიქიოს 387 კაცი.

შიშისმომგვრელი, წარმტაცი, საოცარი წიგნი, რომელიც შეიძლება დაწერილიყო გაბორიოს ან ედგარ პოს მიერ. ამ წიგნის სახელია „სიკვდილის აგენტი. ჯალათის მემუარები".

მეორე განცხადება უფრო მეტად ცდილობს შეჰშალოს მკითხველი:

„ზოგიერთებს უყვართ საშინელებანი, დანაშაულებათა ქვეყანაში ექსკურსიები, ჩატარებული რეკორდსმენმკვლელების მიერ.

მკვლელობის ხელოვნების სრული კურსი. აქ მოთხრობილაა დაწვრილებით ყველაზე უფრო სენსაციური მკვლელობანი, რომლებიც კი ჩადენილ იქნენ კონტინენტზე:

გვამი, დაჩეხილი ნაწილებად; ბანჯგვლიანი მაიმუნი — შვილია დედანორსკოტის; ცოლები, რომლებიც სწამლავენ; ბანქოს მაგიდის ყასბები და სხვა. მოთხრობები აღსავსეა საშინელი სიმართლით. წიგნში მოთხრობილი საშინელებანი თქვენ გაიძულებთ შეშინდეთ, აკანკალდეთ და გაფითრდეთ.

დაგვიჯერეთ, ჯონ კობლერს, ამ წიგნის ავტორს, არა ჰყავს მოქიშპე თავის ხელოვნებაში".

ეს ეგრეთწოდებული ნაწარმოებები კომენტარიებს არ მოითხოვენ. ამ განცხადებებს გარდა, ამავე წიგნებზე „ბუკ რევიუში" მოთავსებულია ბიბლიოგრაფიებიც, რომლებშიაც შექებულია ეს მართლადაც საოცარი ნაწარმოებები.

### „სკაპენის ოინები" და „გაიძვერა ხამზა"

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში ამ რამდენიმე ხნის წინად პირველად დაიდგა ფრანგულ ენაზე მოლიერის „სკაპენის ოინები". გაზეთი „ეკო დე ბელგრადი" საინტერესო ისტორიას გადმოგვცემს ამ კომედიის ერთი ხორვატული თარგმანის შესახებ. 1901-1902 წელს ხორვატულ ალმანახ „ბეხარაში", რომელიც ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის გადაქცეული, დაიბეჭდა სამ-მოქმედებიანი კომედია „გაიძვერა ხამზა". კომედია თარგმნილი იყო თურქულიდან. ამ ორი პიესის შედარებისას გამოირკვა, რომ „გაიძვერა ხამზა" „სკაპენის ოინების" თურქული თარგმანი ყოფილა. თურქმა მთარგმნელმა მოქმედება ნეაპოლიდან კონსტანტინეპოლში გადაიტანა, მომქმედ პირებს თურქული სახელები დაარქვა და სხვა, მაგრამ „დაავიწყდა" ავტორის დასახელება. ამრიგად, მხოლოდ ამას წინად გამოირკვა, რომ მოლიერი გამოქექილი პლაგიატორის მსხვერპლი გამხდარა.

### გასწორება

ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ქართული პოეზიის ანთოლოგიის შესახებ, რომელიც გამოდის მოსკოვში, რუსულ ენაზე. ამ ქრონიკის მეორე აბზაცის მეორე წინადადება უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„წიგნი, რომელიც უკვე დამზადებულია დასაბეჭდად, შეადგინეს და დაალაგეს სარედაქციო კოლეგიის წევრებმა: ალიო მაშაშვილმა, ალ. აბაშელმა, სიმონ ჩიქოვანმა და გ. გოლცევმა".

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ჭულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უდ 3920